# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 იანვარი 2002 №4 (1526) ფასი 50 თეთრი


# ქართველები დანაღმულ ველზე



ალეკო ბოყოჩაძეს ზოგჯერ ორი ჰოლანდიელიც ვერ იჭერდა

**საქართველო**

**26**

**24**

**ჰოლანდია**

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ჰგავს გამნაღმველს, რომელსაც შეცდომის უფლება არა აქვს: ერთი ფრეც და...

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# სამპრასი ჩრდილივით წამოიპარა

მელბურნში სენსაციათა ავდრის შემდეგ გამოიდარა. გუშინ ავსტრალიის ღია პირველობიდან ძალიან გამორჩეული ჩოგბურთელი აღარ გავარდნილა. მომგებიანი ნაბიჯები გადადგეს პიტ სამპრასმა, მარატ საფინმა, როჯერ ფედერერმა, ტომი ჰაასმა და კიდევ სამმა განთესილმა, ქალთაგან კი მესამე წრეში უზრუნველად მოხვდა მოქმედი ჩემპიონი და ტურნირის პირველი ნომერი ჯენიფერ კაპრიატი. თითქმის არ დასდგომია ჯაფა კიმ კლაისტერსს, ხოლო ჟიუსტინ ენენმა ოდნავი ნერვიულობის შემდეგ გაიმარჯვა. შემდეგ ეტაპზე ვხედავთ გაუკულმართებული ორიენტაციის ამელი მორესმოსაც და არა საბრალო ენდი როდიკს. ეს უეჭველად ნიჭიერი, მძლავრი და აზარტით სავსე ახალგაზრდა ტრავმამ მეორედ დაალალატა. ხორვატ ივან ლუბიჩიჩთან შეხვედრისას როდიკი უშნოდ წაიქცა, ტერფი მოელრიცა, მერე კი — სახეც: თამაშის გაგრძელება აღარ შეეძლო, ანუ „დიდი სლემის" პირველი ტურნირი მისთვის გუშინ დამთავრდა.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS

# მრუდე სარკეთა იმპერია

## დინამომ ზაზა ზირაქიშვილიც მოიმდურა



კვიპროსზე მიმავალ „დინამოს“ ზაზა ზირაქიშვილი ერევანში დაცილდა

**ბევრჯერ** გვითქვამს, თბილისის „დინამოში“ უცნაური ამბები ხდება. არც ის უნდა იყოს სადაო, რომ „დინამოს“ გაწვრთნა და მოვლა ლობიოს ჭამა არ არის, კლუბში, როგორც ჩანს, ჯერაც ვერ გარკვეულან, როგორ მართონ გუნდის სათუთი მექანიზმი.

ჯერ იყო და პრეზიდენტი რევაზ არველაძე დაიფრინეს, მერე მას მწვრთნელები, გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე მიაყოლეს — წარმატებით მომუშავე ხალხი უმიზეზოდ გააგდეს. შედეგად „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და მიზანიც იდენტური აქვს — ზეექვსეულში დარჩენა.

„დინამოს“ ფული არ აკლია და ისეთი პატრონი ჰყავს, სხვაგვარად არც იქნებოდა. „დინამოს“ უბრალოდ სიბრძნე არ ჰყოფნის, ეს ფული რომ გამოიყენოს ანუ არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი.

„დინამოში“ არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნული ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე მიიწვიეს, მაგრამ ჯერაც არ იციან, რისთვის.

„დინამოში“ არ ყოფილა შემთხვევა, ფეხბურთელი შეკრებაზე გამგზავრებულ გუნდს შუა გზიდან ჩამოსცილებოდეს, მაგრამ „დინამომ“ ბოლო ოთხ თვეში მოხვეჭილ რამდენიმე ანტირეკორდს ესეც მიუმატა.

წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი ზაზა ზირაქაშვილი ერევნიდან, საიდანაც „დინამო“ კვიპროსზე გაემგზავრა შეკრებაზე, თბილისში გამობრუნდა. მტყუან-მართალის გარჩევას არ ვაპირებთ, მაგრამ ფაქტია, არველაძე-ტყებუჩავა-ჩხეიძეს და ტრანსფერზე დაუსაბუთებლად დაყენებული შვიდი ფეხბურთელის ამბავს თავისი გაგრძელება მოჰყვა.

ცხადია, მომხდართან დაკავშირებით თვით ზაზა ზირაქაშვილს მივმართეთ და ერევნიდან შინ გამობრუნების მიზეზზე დავეკითხეთ.

*— კომენტარის გაკეთებას და კონკრეტულად რაიმეს თქმას ჯერ არ ვაპირებ, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ძალიან ნაწყენი ვარ. როგორც მომექცნენ, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ფეხბურთელს გუნდში მისვლა და იქ თამაში უნდა უხაროდეს. რაც შეეხება ჩემს „დინამოდან“ წამოსვლას, ამაზე ახლა არ მიფიქრია.*

**დავით თაგართქილაძე**

სამშაბათს „სარბიელთან“ ინტერვიუში ესპანეთის „სოსიედადის“ ქართველმა მისით დაინტერესებული რუსული გუნდი არ დაასახელა, მაგრამ გიორგი დემეტრაძის მსურველი კლუბის ვინაობა [illegible] შორის იყო საძიებელი იოლი მისახვედრი იყო, ფეხბურთელი, ცხადია, გულისხმობდა მოსკოვის „ლოკომოტივს“, რომელმაც ერთი ქართველი ფორვარდი აღარ ისურვა და დემეტრაძესთან ჯერ კიდევ თვენახევრის წინ დაიწყო მოლაპარაკება.

ამ შესაძლო ტრანსფერზე საქართველოსა და რუსეთში ბევრს საუბრობენ. ვითარებაში გასარკვევად კომენტარი ვთხოვეთ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს ვალერი ფილატოვს, გუნდის მწვრთნელს იური სიომინს კი საფრანგეთში, დაბა ფაუნ-რემიუში დავუკავშირდით.



იური სიომინი

# ჯერ გავსინჯო, მერე გავსაჯო

## სიომინს დემეტრაძე მოსწონს, მაგრამ მისი არ სჯერა

— დემეტრაძესთან და მის ამჟამინდელ კლუბთან მოლაპარაკება მართლაც გვქონდა, ოღონდ დაახლოებით თვენახევრის წინ და მას შემდეგ არც ქართველ ფეხბურთელთან, არც „სოსიედადთან“ საერთო არაფერი გვქონია. ვიცით, რომ დემეტრაძე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ „ლოკომოტივის“ მისით დაინტერესება დაინტერესებად რჩება, დღესდღეობით მეტის თქმა არ შემიძლია, ტრანსფერზე კონკრეტული საუბარი არც ფეხბურთელთან გვაქს, არც კლუბთან — გვითხრა „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა.

იური სიომინი, კი, ზემოთაც ვთქვით, გუნდს ამჟამად საფრანგეთში ამზადებს და ჩვენებურ თავდამსხმელს გასასინჯად ელის...

— დემეტრაძის თამაში ბევრჯერ მინახავს და მის შესაძლებლობებშიც დარწმუნებული ვიყავი, თუმც „სოსიედადში“ გადასვლის მერე მეეჭვება, ახლაც ძველებურ ფორმაში იყოს. ამიტომაც მასთან პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას არ ვჩქარობთ. დემეტრაძეს ვთხოვეთ, „ლოკომოტივის“ სეზონისწინა ერთ-ერთ შეკრებაზე ჩამოვიდეს. ერთ-ორ ამხანაგურ მატჩში ვათამაშებთ და მერე გადავწყვეტთ, ღირს თუ არა მოლაპარაკება „სოსიედადთან“.

**— დემეტრაძემ თავად გვითხრა, კლუბთან საქმე უკვე გარკვეული მაქვს და დღესვე შემიძლია „სოსიედადის“ დატოვებაო...**

— შესაძლოა ასეც იყოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემეტრაძე თებერვლის დამდეგს მოვიწვიოთ, როგორც ვთქვი, გავსინჯოთ და „სოსიედადს“ მერე დაველაპარაკოთ. კლუბის უნებართვოდ მას ვერც ვავარჯიშებთ, მით უმეტეს, ვერც გუნდში მივიღებთ.

**— იცით, რომ თავად თანახმაა, „ლოკომოტივში“ ითამაშოს?**

— მისგან მე თანხმობა არ მქონია. კარგია, თუ ასეთი რამ თქვენთან თქვა, მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს. დემეტრაძეს თუ „ლოკომოტივში“ თამაში მართლაც სურს, ამის დამტკიცება არ გაუჭირდება. ერთ-ორ ამხანაგურ მატჩში ვათამაშებთ.

**— და მაინც, როდის გადაწყდება, დემეტრაძე „ლოკომოტივის“ წევრი იქნება თუ არა?**

— საწვრთნელი მატჩების შემდეგ. ვიცით, რომ ქართველი ძვირადღირებული ფეხბურთელია და არ გვსურს, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგათ.

**— კეთილი. მაშ, ახლა მეორე ქართველზე გვითხარით. დატოვებს ზაზა ჯანაშია „ლოკომოტივს“?**

— მას ჩვენთან კონტრაქტი დაუმთავრდა. სურს, თამაში სხვაგან გააგრძელოს და მისივე მენეჯერები ცდილობენ, ახალი კლუბი მოუძებნონ.

**— თქვენ არ გსურთ, რომ ჯანაშიას კონტრაქტი გაუგრძელოთ?**

— არა, არ გვსურს. ვფიქრობ, მისთვის აჯობებს გუნდი შეიცვალოს. ზაზამ ორი-სამი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და მისი დიდი დამსახურებაცაა, „ლოკომოტივი“ ჩემპიონატში მეორე ადგილს რომ არ ჩამოსცილებია, თუმც აშკარაა წინა სეზონი ჩააგდო. ჯანაშიას დამსახურება არ დაგვიწყებია და ახლაც ხელს შევუწყობთ, რომ საკადრის გუნდში გააგრძელოს თამაში.

**— ლადო კაკაშვილზე რა აზრის ბრძანდებით. ის საფრანგეთში „ლოკომოტივის“ დუბლებიდან იახლეთ.**

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. მონდომებული ყმაწვილია და ვნახოთ, თუ დაიმსახურებს „ლოკომოტივის“ ძირითადში თამაშს. ჩვენ შანსი მივეცით.

გიორგი დემეტრაძის თქმით კი, ის გასასინჯად წასვლას არცერთ კლუბში აპირებს და მწვრთნელი, რომელიც მის შესაძლებლობებში დარწმუნებული არ არის, შეუძლია თავისთან არც მიიწვიოს.

**კობა ინასარიძე**

# სიონს ბახვა მოაკლდა

## კუნძული, ზღვა და რუსეთი

**სამიოდ დღეა,** ბოლნისის „სიონი“ არდადეგებიდან დაბრუნდა და საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას შეუდგა. ბოლნისელები უფულობის გამო საწვრთნელ შეკრებაზე წასვლას ვერ ახერხებენ და დედაქალაქში ვარჯიშით გადიან ფორმას. თბილისის ზღვა, ვაკის პარკი, მანეჟი — ქვემოქართლელთათვის ეს ადგილები ლამის მშობლიურად იქცა.

ალბათ გახსოვთ, საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურში „სიონმა“ სტუმრად „ლოკომოტივი“ რომ დაამარცხა. ჰოდა, ამ მოგებამ თემურ მახარაძის შეგირდებს მადა ისე გაუხსნა, ზეექვსეულზე ფიქრიც კი დააწყებინა. არადა, ჩემპიონატის სტარტი მათთვის მეტად უიღბლო გამოდგა.

მადა გაეხსნათ ვამბობთ, მაგრამ მიზნის მისაღწევად ბოლნისელებს დიდი ჯაფა რომ დაადგებათ, ამთავითვე ცხადია. ჯერ ერთი, „სიონი“ ხუთი ქულით ჩამორჩება თბილისის „ვიტ ჯორჯიას“, მეორეც — ზამთრის შესვენებაზე გუნდი უკვე სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ბახვა ამბიძეს, კახა დაუშვილსა და შალვა ისიანს „სიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდათ. ამათგან მხოლოდ კახა დაუშვილი აპირებს თამაშის საქართველოში გაგრძელებას და დღეისთვის ფოთის „კოლხეთში“ ვარჯიშობს. რაც შეეხება ვეტერან ბახვა ამბიძეს, მან ბედის საძიებლად კვიპროსს მიაშურა და რომელიმე იქაურ კლუბში მოხვედრას ცდილობს. უცხოეთს გაემგზავრა 23 წლის შალვა ისიანიც, თუმცა ამბიძისგან განსხვავებით, მას რუსეთში, ნალჩიკის „სპარტაკში“ მოწყობა განუზრახავს. ისიანი ოთხი წლის წინაც ცდილობდა რუსეთის მეორე ლიგის კლუბში დამკვიდრებას, თუმც უშედეგოდ.



ბახვა ამბიძე

დანაკლისი „სიონისთვის“ მართლაც სერიოზულია. რაც შეეხება ახალწვეულებს, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ჯერ არაფერია. თემურ მახარაძე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს აკვირდება და მათი საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

ბოლნისელები პირველ ამხანაგურ მატჩს 25 იანვარს ჩაატარებენ დედაქალაქურ „დინამო 2“-თან.

ბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ „სიონის“ საწვრთნელი ბაზის მშენებლობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, საგაზაფხულო ეტაპის განახლებამდე გუნდს კეთილმოწყობილი კომპლექსი მზად დახვდება.

**კახა ზალამბერიძე**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXX ტური

პორტსმუთი 2:3 ვულვერჰემპტონი

### იტალია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

ატალანტა 2:1 იუვენტუსი (2:4)

### საბერძნეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

პრუდოფტიკი 2:0 ათინაიკოსი (0:4)
ოფი 0:1 კალითეა (1:2)
აეკ 6:0 კილკისიაკოსი (1:0)

### ამხანაგური მატჩები

საამიროები 1:0 ომანი
ყატარი 1:0 ბაჰრეინი

კალათბურთი

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 17 იანვარი

**A ჯგუფი**

მაკაბი 94:76 შარლერუა

**C ჯგუფი**

პო ორტეზი 78:74 რეალი
ზადარი 76:82 სკიპერი
ბუდუჩნოსტი 72:84 პანათინაიკოსი

**B ჯგუფი**

კინდერი 87:72 ბერისტერი
ბარსელონა 101:64 ლონდონ თაუერზი
სკაილაინერზი 84:75 ჩალგირისი
ოლიმპია 78:80 ულკერი



# იაშვილმა და კობიაშვილმა პორტუგალიაში იგოლავეს

## ზამთარაძემ იქვე გამოიზამთრა, კიკნაძე კი ზურგს იმაგრებს

„ფრაიბურგი" ახლახან პორტუგალიური შეკრებიდან დაბრუნდა. ბუნდესლიგა 26 იანვარს განახლდება და ქართველთა „ფრაიბურგი" მანამდე შინ გააგრძელებს მზადებას.



**პორტუგალიაში** ფოლკერ ფინკეს გუნდმა მხოლოდ სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. „ფრაიბურგი" ჯერ „გლადბახს" დაუზავდა 1:1, შემდეგ მეორე ბუნდესლიგელი „დუისბურგი" დაამარცხა 2:1 და იმ მატჩში ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა, ბოლოს კი გოლთაცვენაში „დუისბურგის" თანალიგელ „ჰანოვერს" 5:3 სძლია — ქართველთაგან ლევან კობიაშვილმა იზეირა. ფოლკერ ფინკემ საკონტროლო მატჩებში იაშვილის, ცქიტიშვილის და კობიაშვილის გარდა ზაზა ზამთარაძეც გამოცადა. ზაზამ მცირე ტრავმის გამო მხოლოდ „ჰანოვერის" წინააღმდეგ ვერ ითამაშა.

„ფრაიბურგის" მეხუთე ქართველი გიორგი კიკნაძე კი გუნდს პორტუგალიაში არ ახლდა, რადგან ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოჯანმრთელებული. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ზამთარში მან ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ შემოდგომაზე წელის ტკივილმა ისევ შეაწუხა.

კიკნაძეს მეორე ოპერაცია არ გაუკეთდა, ექიმებმა მას განსაკუთრებული თერაპიული კურსი დაუნიშნეს.

— ახლაც ვმკურნალობ, თან გუნდის მასაჟისტის მეთვალყურეობით ზურგის გასამაგრებელ ვარჯიშებსაც ვასრულებ. მედიკამენტები და ფიზიოთერაპიაც მაქვს დანიშნული. ტკივილი აღარ მაწუხებს, მაგრამ დიდი დატვირთვებისგან ჯერჯერობით თავი უნდა შევიკავო. ექიმები ზუსტად ვერ მეუბნებიან, სავსებით როდის გამოვჯანმრთელდები. ალბათ, დაახლოებით ორი თვის შემდეგ შევუდგები სრული დატვირთვით ვარჯიშს — გვითხრა გიორგი კიკნაძემ

**დავით თაგართქილაძე**

# ეს ბიჭი ძირითადში მინდა

## ეუგენ ჰახი გიორგი დეკანოსიძეს „ფიურტის" ცენტრს დაპირდა



გიორგი დეკანოსიძე

**როგორც ჩანს,** წალმა დატრიალდა გიორგი დეკანოსიძის ბედის ბორბალი...

21 წლის ქართველი ნახევარმცველი შარშან გადავიდა მეორე ბუნდესლიგელ „ფიურტში" და ვერაფრით შეძლო გუნდის პირველ შემადგენლობაში დამკვიდრება. დეკანოსიძეს წინა სეზონის ბოლომდე მხოლოდ ორჯერ მიეცა თავის გამოჩენის შანსი, ისიც რამდენიმე წუთით. ახალი სეზონიდან კი უარესად წაუვიდა საქმე. მეორე ბუნდესლიგის პირველ ეტაპზე ქართველი ლეგიონერი „ფიურტის" სათადარიგოთა სკამზეც არ ჩანდა და მხოლოდ სარეზერვო შემადგენლობაში თამაშით კმაყოფილდებოდა. ალბათ ყოველივე ასეც გაგრძელდებოდა, „ფიურტში" ახალი მწვრთნელი რომ არ მისულიყო. ეუგენ ჰახმა საპირისპიროდ შეცვალა დეკანოსიძის ბედი...

„მაროკოელ აზუზის წინ წავწევ, ამით მოედნის ცენტრში ადგილი გათავისუფლდება და იქ დეკანოსიძე ითამაშებს. ამ ფეხბურთელს დიდი ხანია, ვაკვირდები და დარწმუნებული ვარ, მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაშია. იგი მზად არის სრული დატვირთვისთვის" — ეს სიტყვები ეუგენ ჰახმა „ფიურტის" ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ერთი კვირის წინ რომ გაიმართა გუნდის საწვრთნელ შეკრებაზე ესპანეთში გამგზავრებისას. ცხადია, მწვრთნელმა თავისი მოსაზრება დეკანოსიძესაც გააცნო, რითაც ერთობ გაახარა შეგირდი.

„ჰახის ნათქვამმა ცოტა გამაოცა და უზომოდ გამახარა. ამან მონდომება გამიორმაგა და შეკრებაზე თავი არ დამიზოგავს" — გვითხრა გუშინ ესპანეთიდან დაბრუნებულმა დეკანოსიძემ სატელეფონო საუბრისას.

„ფიურტი" ხერესში ემზადებოდა და ერთ კვირაში სამი საკონტროლო მატჩიც გამართა. პირველ შეხვედრაში ჰახის გუნდი გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს დაუზავდა 3:3.. დეკანოსიძემ გამთამაშებლის პოზიციაზე ითამაშა მეორე ტაიმში და სწორედ მისი პასით შეძლო მესამე გოლის გატანა ჰანკემ მატჩის ბოლოს.

„ხერესთან" ჰახმა ძირითად შემადგენლობაში დააყენა ქართველი და არც შემცდარა. 61-ე წუთისთვის, როდესაც დეკანოსიძემ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ანგარიში 3:2 იყო „ფიურტის" სასარგებლოდ. სამიდან ორი გოლი ჰაგნერმა და რეისინგერმა ქართველის პასებით გაიტანეს. მატჩი კი 4:3 დასრულდა გერმანელების სასარგებლოდ.

ამ ორ მატჩს შუა, ჰახმა ხერესშივე მყოფ „დორტმუნდთან" ათამაშა გუნდი. დეკანოსიძე კვლავაც ძირითად შემადგენლობაში იყო 72-ე წუთამდე. მისმა გუნდმა კი 2:0 მოიგო.

მოკლედ, ჰახი სიტყვას ასრულებს. ახლა ჯერი დეკანოსიძეზეა, რომელიც სულმოუთქმელად ელის 26 იანვარს, სწორედ ამ დღეს განახლდება ჩემპიონატი მეორე ბუნდესლიგაში, საშინაო მატჩში „ფიურტს" „ალენი" ჰყავს მეტოქედ.

**ბაატა ქვანტალიანი**



ეუგენ ჰახი



გიორგი იმედაძეს (მარჯვნივ) ვლადიკავკაზშიც დააკვირდებიან

# ოსებმა იმედაძეს ჩოლაქლი არ აკმარეს, მახვილაძეს კი ჩოლოქისკენ გზა დაულოცეს

**ორკვირიან** თურქულ შეკრებაზე იმყოფებოდა ვლადიკავკაზის „ალანია". ოსები გუშინ საღამომდე ანთალიიდან 75 კილომეტრით დაშორებულ დაბა ჩოლაქლიში ემზადებოდნენ. შეკრებაზე 30 ფეხბურთელთან ერთად ტორპედოელები გიორგი იმედაძე და მიხეილ მახვილაძეც იყვნენ, გუნდის ჩოლაქლიდან გამომგზავრების წინ გიორგი იმედაძეს დავუკავშირდით ახალი ამბების გასაგებად.

„ალანიასთან" კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, ამაზე საუბარიც არ ყოფილა. მწვრთნელებმა მხოლოდ ის მითხრეს, რომ ვლადიკავკაზშიც დამაკვირდებიან" — გვითხრა იმედაძემ.

მახვილაძეს საწვრთნელი შეკრება თურქეთში არ ჩაუმთავრებია. ვლადიკავკაზელები ამ ფეხბურთელსაც აკვირდებოდნენ, მაგრამ დაიწუნეს. „ალანიას" თავკაცმა ვლადიმირ მუნტიანმა მიშა მოსკოვში გააბრუნა, მახვილაძეც „ტორპედოს" შეუერთდა და სავარაუდოდ ხვალ რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს თანამეგობრობის თასზე.

იმედაძემ კი, „ალანიას" თურქეთში გამართულ ოთხივე საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ უმნიშვნელო არაა ის ფაქტი, რომ მუნტიანმა ოთხჯერვე სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. ქართველიც „ალანიაში" გადასვლას ოპტიმისტურად უყურებს, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც გასარკვევია. მასთან ერთად „ალანიას" 13 ახალი ფეხბურთელი ჰყავდა სინჯებზე მიწვეული. ამათთაგან ოთხი (მათ შორის მახვილაძეც) დაიწუნა, დარჩენილ ათს კი გუშინ ორი უცხოელიც დაემატა.

აგენტებმა — რობერტ მალიევმა და ტონი ონდრუშმა (70-იან წლებში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს კაპიტნობდა და 1976 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა) მუნტიანს გასასინჯად ბოსნიელები — დამირ ზუკიჩი და „მარიბორის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშევი დალიბორა ფილიპოვიჩი ჩაუყვანეს. ორივე თავდამსხმელი გახლავთ. შედეგად მუნტიანს შვიდ ახალწვეულ ფორვარდს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. ასე რომ, იმედაძის საკითხი კვლავაც გასარკვევია.

შინ დაბრუნებული „ალანია" ორი დღე დაისვენებს, ზეგ კი ვლადიკავკაზში ისევ გააგრძელებს მზადებას.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ორი მოეწყო, მესამე რიგშია

## ბერძნულმა კალამატამ ქართველები შეიმატა

**დეკემბრის** ბოლოს გაემგზავრნენ თბილისიდან „გორდას" ფორვარდი დავით პეტრიაშვილი და იმხანად უგუნდოდ დარჩენილი თავდამსხმელი მიხეილ ხუციშვილი. ორივეს საბერძნეთში, იქაური პირველი ლიგის „კალამატას" მესვეურები ელოდნენ.

„კალამატა" შარშან გავარდა საბერძნეთის უმაღლესი ლიგიდან და წლეულს მეხუთეადგილოსანი ისევ ალზევების მოსურნეა. „კალამატას" თავკაცებმა თავიანთი გუნდის წევრის, გოდერძი ნატროშვილის რჩევით მიიწვიეს პეტრიაშვილი და ხუციშვილი.

-დაიწყო ვარჯიშები, საკონტროლო მატჩებში თავის გამოჩენის შანსი მისცეს ჩვენებურებს და ეტყობა, ამათაც ივარგეს. „ნიჭიერი ბიჭები არიან, მაგრამ მოუმზადებლები" — ასეთი შეფასება დაიმსახურეს მწვრთნელებისგან. მორიგი მატჩისას კი პეტრიაშვილს გამოუჩნია თავი. მეტოქის დაცვა გაუბითურებია, ზედ მეკარეც მიუყოლებია და ბურთი ცარიელ კარში შეუგორებია.

ქართველებს ბერძნებმა უკვე გამოუძებნეს საცხოვრებელი. უფრო სწორად, სახლი, სადაც პეტრიაშვილი და ხუციშვილი ცხოვრობენ, დავითის გახლავთ. მიხეილმა კი სხვა უნდა შეარჩიოს. პირობებზე მოლაპარაკებები დასრულებულია, ბერძნებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ჩვენებურების სატრანსფერო ფურცლებიც მოითხოვეს და მალე ოფიციალურ ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

საბერძნეთში ქართველ ლეგიონერთა რიცხვი ფაქტობრივად გასამდა. მეოთხე კი რიგში დგას. საბერძნეთშივე იმყოფება მერანელი ვალერი გაგუაც, რომელიც დღე-დღეზე ელის საბოლოო პასუხს და შესაფერის გუნდსაც.

**მამუკა ქვანტალიანი**



მიხეილ ხუციშვილი (მარცხნივ) საბერძნეთში გადაბარგდა

Cup of Nations 2002 **აფრიკის ერონვნებათა თასი 2002 (მალი). 19 იანვარი — 10 თებერვალი**

*გიხაროდენ! აფრიკის თასის პირველ მატჩს, მალი – ლიბერიას, ჩაშლა აღარ ემუქრება. გავიხსენოთ, რომ ლიბერიელმა ფეხბურთელებმა თავის ფედერაციას ტურნირში მხოლოდ მონაწილეობისთვის თხუთმეტ-თხუთმეტი ათასი დოლარი მოსთხოვეს და მოსაფიქრებლად 24 საათი მისცეს, თუ არადა ბოიკოტით დაემუქრნენ.*

*ულტიმატუმმა გაჭრა, ფედერაცია შეშინდა და საქვეყნოდ თავის მოჭრას ჯიბეზე ხელის გაკვრა ამჯობინა. ოღონდ ფეხბურთელებსაც მოუხდათ დათმობა – 6 500 დოლარს დაჰყაბულდნენ, რის გადახდაზეც ფედერაცია თავიდანვე არ იყო უარს*

*ქვემოთ კი ს ჯგუფში თავმოყრილი გუნდების ავკარგიანობა გავარჩიოთ.*



ორი წლის წინ კამერუნელებს დიდი სიხარული ეწვიათ





აფრიკის ძველი და ახალი თასები

# ჩემპიონი, ჩემპიონის მძლეველი და სენსაციის მოლოდინი

**კამერუნის** ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და, შესაბამისად, ჯგუფშიც ფავორიტად ითვლება, მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე ღირსეული მეტოქე არ ჰყავს. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ „მოუთვინიერებელი ლომები" კონტინენტის მოქმედი ჩემპიონები არიან და საერთო აზრით, ახლა უკეთ თამაშობენ, ვიდრე ორი წლის წინ, მათი ფავორიტობა უფრო სარწმუნოდ ჩანს.

ნაკრების შემადგენლობა ისევ ისაა, წინა ფინალში ნიგერია რომ დაამარცხა, თუმც ორ წელიწადში ამ შემადგენლობამ მეტი გამოცდილება შეიძინა. სხვათა შორის, კამერუნი პირველი ქვეყანაა იმ ოცდაცხრიდან, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ბრძოლით რომ მოიპოვეს (სამხრეთ კორეის, იაპონიისა და საფრანგეთის შემდეგ).

ალვნიშნოთ, რომ არსებობს, ორი კონგო — უბრალოდ კონგო და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ერთ დროს ზაირის სახელით იყო ცნობილი, ისე კი ორივე კონგო ბელგიის კოლონია გახლდათ.

დემოკრატიული კონგოელები, რომლებზეც აქ გვაქვს ლაპარაკი, ორჯერ იყვნენ აფრიკის ჩემპიონები (ერთხელ ზაირის სახელით), თუმცა მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლანდელი ნაკრები კი ძირითადად იმ ფეხბურთელებისგან შედგება, ოთხი წლის წინ, ბურკინა ფასოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე რომ გავიდნენ და არც წინა გათამაშებაზე უთამაშიათ ურიგოდ. კონგოელებს მწვრთნელიც იგივე ჰყავთ — ლუი ვატუნდა, რომელსაც ოცდაორი რჩეულის გამოსავლენად გვარიანი ოფლის ღვრა მოუხდა, ევროპაში ხომ ასზე მეტი კონგოელი თამაშობს, თუმც ისიც სათქმელია, რომ გრანდებში მათი ადგილი არ არის.

„სიმბას" ყველაზე ცნობილი მოთამაშე კი მონაკოელი შაბანი ნონდაა, რომლისთვისაც ეს კონტინენტის პირველი პირველობა იქნება. საინტერესოა, რომ ნონდა ტომით ბურუნდიელია და მოგვიანებით მიიღო კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობა.

და მაინც, ამდენი ქების მიუხედავად, კონგოელებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ — არაორგანიზებულობა და თუ უკეთეს შედეგებს ვერ აღწევენ, უმთავრესი მიზეზი სწორედ ესაა. ისე კი, „სიმბასგან" ნებისმიერ სენსაციას უნდა ველოდოთო, ამბობენ აფრიკული ფეხბურთის მცოდნენი.

ათი წელი გავიდა მას მერე, რაც კოტდივუარელებმა (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირი) აფრიკის ეროვნებათა თასი ალმართეს და დღეს იმ გუნდისგან აღარაფერია დარჩენილი მოგონებების გარდა. წინა გათამაშებაზეც სამხედრო დიქტატურა გამეფებული ქვეყნის გუნდი ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა.

მთავარი იმედგაცრუება „სპილოებმა" რამდენიმე თვის წინ განიცადეს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გადამწყვეტ მატჩში ტუნისთან დამარცხდნენ.

თუმც კოტ დივუარს ახლაც ჰყავს გამოცდილი ფეხბურთელები. ორი მათგანი დავასახელოთ — მარსელელი იბრაჰიმ ბაკაიოკო და ფეიენოორდელი ბონავენტურ კალუ.

მას შემდეგ, რაც „სპილოებმა" რამდენიმე ფრანგი მწვრთნელი გამოიცვალეს, სასურველი შედეგი კი ვერ მიიღეს, გუნდი შინაურს ჩააბარეს. ახლა ბამბას მოუწევს გამარჯვების ფორმულის ძიება.

ზოგიერთისთვის ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი შედეგი წარუმატებლობაა, ტოგოელები კი იმითაც კმაყოფილები არიან, ბოლო ხანს აფრიკის თასის გათამაშების მუდმივ სტუმრებად რომ ქცეულან. „ძერებს" საამაყოც აქვთ — წინა გათამაშებაში მხოლოდ მათ შეძლეს მომავალი ჩემპიონის, კამერუნის დამარცხება. ისე კი, ტოგოელებს არასდროს გაუღწევიათ ჯგუფური ეტაპიდან.

შემადგენლობიდან კი გამოსარჩევი უნდა ყოფილიყო ვეტერანი თავდამსხმელი ბაშირუ სალუ, რომელმაც თორმეტი წელი გერმანულ ბუნდესლიგაში გაატარა, მაგრამ ბოლო წამს დაშავდა და მთელი ტოგო დაალონა.

**გიორგი დარჯანია**

## ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე 4:0 ეთიოპია |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე 2:1 სუდანი |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია 4:2 დ.დ. ეგვიპტე |
| 1963 | განა | განა 3:0 სუდანი |
| 1965 | ტუნისი | განა 3:2 დ.დ. ტუნისი |
| 1968 | ეთიოპია | კონგოს დ.რ. 1:0 განა |
| 1970 | სუდანი | სუდანი 1:0 განა |
| 1972 | კამერუნი | კონგო 3:2 მალი |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი 2:0 ზამბია |
| 1976 | ეთიოპია | მაროკომ მოიგო ჯგუფური ტურნირი |
| 1978 | განა | განა 2:0 უგანდა |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია 3:0 ალჟირი |
| 1982 | ლიბია | განა 1:1 დ.დ. (7:6 პენ) ლიბია |
| 1984 | კოტ დივუარი | კამერუნი 3:1 ნიგერია |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0 დ.დ. (5:4 პენ) კამერუნი |
| 1988 | მაროკო | კამერუნი 1:0 ნიგერია |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი 1:0 ნიგერია |
| 1992 | სენეგალი | კოტ დივუარი 0:0 დ.დ. (11:10 პენ) განა |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია 2:1 ზამბია |
| 1996 | სამხრეთ აფრიკა | სამხრეთ აფრიკა 2:0 ტუნისი |
| 1998 | ბურკინა ფასო | ეგვიპტე 2:0 სამხრეთ აფრიკა |
| 2000 | განა/ნიგერია | კამერუნი 2:2 დ.დ. (5:4 პენ) ნიგერია |

# მონაწილეთა განაცხადები. C ჯგუფი

## ტოგო

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჩაგნირუ ურო-ნიმიმი | სემასი შოკოდე |
| 16 | აგასა კოში | აფრიკა სპორტსი |
| 22 | სალიფუ საფიუ | ასკო კარა |
| | **მცველები** | |
| 2 | გაფარ მამა | გომიდო კპალიმე |
| 3 | იაო სენაია | კარუჟი, შვეიცარია |
| 4 | იაოვი აბალო | ამიენი, საფრანგეთი |
| 5 | მასამესო ჩანგაი | ვიტერბეზე, იტალია |
| 12 | ერიკ აკოტო | გრაცერი, ავსტრია |
| 14 | კოფი კოფი | როშელი, საფრანგეთი |
| 15 | ოდეი ზანზანი | ტენერე, ნიგერია |
| 21 | ამაეი აგბობლი | აგაზა |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ემანუელ ადებაიო | მეცი, საფრანგეთი |
| 8 | ლანტამე უაჯა | კარუჟი, შვეიცარია |
| 13 | კომლა ასინიონი | კრეტეი, საფრანგეთი |
| 19 | მუსტაფა სალიფუ | მოდელე |
| 20 | ჯაფარ მუმუნი | დელემონი, შვეიცარია |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | თომას დოსევი | შატორუ, საფრანგეთი |
| 9 | კოსი ნუტსუჯე | ასეკი |
| 10 | ადეკამბი ოლუფადე | ლილი, საფრანგეთი |
| 11 | დოჯი დოგბე | გრენობლი, საფრანგეთი |
| 17 | კადერ კუბაჯა | პარმა, იტალია |
| 18 | ჯიმა ოიავოლე | გენტი, ბელგია |

მწვრთნელი: ჩანილ ბანა

## კონგოს დრ

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| მიშელ ბაბალე | ფრი სტეიტ სტარზი |
| ლუკოკი კალემბა | მაზემბე |
| კომბე ტოკალა | ინტერ კლუბი, ანგოლა |
| **მცველები** | |
| დიკულუ ბაგეტა | მაზემბე |
| ესელე ბაკასუ | ?, გერმანია |
| კასონგო ბუკასა | ვიტა |
| მუიაია კაიემბე | მოტემა პემბე |
| მუნდასა კისომბე | მაზემბე |
| მუსასა მვამბა | მაზემბე |
| დიანგიენდა იუვულადიო | ?, ბელგია |
| **ნახევარმცველები** | |
| კიბემბა მბაიო | ფენერბაჰჩე, თურქეთი |
| აპატაკი კიფუ | ?, ბელგია |
| კაპელა მბიავანგა | პეტრო ატლეტიკო, ანგოლა |
| კამილო მუზინგა | ლოკერენი, ბელგია |
| **თავდამსხმელები** | |
| სირილ ბამბა | უგუნდოდ |
| პატი ესენგო | ინტერ კლუბი, ანგოლა |
| ტრეზორ ლამინა ლუა-ლუა | ნიუკასლი, ინგლისი |
| ბოეკა ლისასი | ლოკერენი, ბელგია |
| ჯეისონ მაიელე | კიევო, იტალია |
| კანკუ მულეკელაი | მაზემბე |
| ალექსის ტეკუმი | სერვეტი, შვეიცარია |
| შაბანი ნონდა | მონაკო, საფრანგეთი |

მწვრთნელი: ლუი ვატუნდა

## კამერუნი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ალიუმ ბუკარი | სამსუნსფორი, თურქეთი |
| 16 | ჟაკ სონგო | მეცი, საფრანგეთი |
| 22 | იდრის კამენი | იუვენტუსი, იტალია |
| | **მცველები** | |
| 2 | ბილ ჩატო | მონპელიე, საფრანგეთი |
| 3 | პიერ ვომე | ბოლონია, იტალია |
| 4 | რიგობერტ სონგი | კიოლნი, გერმანია |
| 5 | რაიმონ კალა | ესტრემადურა, ესპანეთი |
| 7 | სირილ ნდო | ალ კაჰალესი, საამიროებთ |
| 8 | ჯერემი ნჯიტაპი | რეალი, ესპანეთი |
| 13 | ლუსიენ მეტომო | მანჩესტერ სიტი, ინგლისი |
| 14 | ჟოელ ეპალე | პანაჰაიკი, საბერძნეთი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ჟან დიკა-დიკა | უნიაუ ლანასი, პორტუგალია |
| 12 | ლორენ ეტამაიერი | არსენალი, ინგლისი |
| 15 | ნიკოლა ალნუჯი | რიზესფორი, თურქეთი |
| 17 | მარკ-ვივიენ ფოე | ლიონი, საფრანგეთი |
| 19 | ერიკ ჯემბა | ნანტი, საფრანგეთი |
| 20 | სალამონ ოლემბე | მარსელი, საფრანგეთი |
| 21 | დანიელ ნგომი | ნუმანსია, ესპანეთი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | სამუელ ეტოო | მალიორკა, ესპანეთი |
| 10 | პატრიკ მბომა | პარმა, იტალია |
| 11 | პიუ ნდიეფი | სედანი, საფრანგეთი |
| 18 | პატრიკ სუფო | შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი |

მწვრთნელი: ვინი შეფერი (გერმანია)

## კოტ დივუარი

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ლოსენი კონატე | ასეკი |
| 16 | ბუბაქარ ბერი | რენი, საფრანგეთი |
| 22 | ბერნარ კუაკუ | სტად აბიჯანი |
| | **მცველები** | |
| 2 | ჰაბიბ ტურე | ასეკი |
| 3 | მამადუ კულიბალი | ლოკერენი, ბელგია |
| 5 | ჟისლენ აკასუ | პისტოიეზე, იტალია |
| 6 | ბლეზი კუასი | გენგამი, საფრანგეთი |
| 8 | ბრაჰიმ კონე | ეტოილ შანელი, ტუნისი |
| 11 | ბერნარ იუან-ბი გამანი | ასეკი |
| 19 | დიდიე ზოკორა | გენკი, ბელგია |
| 20 | სიაკა ტიენე | ასეკი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ლასინა დიაბატე | ოსერი, საფრანგეთი |
| 7 | ჩირესუა გუელი | ლორიანი, საფრანგეთი |
| 13 | ალიუ სიბი ბადრა | ასეკი |
| 17 | ჟილ იაპი-იაპო | ბევერენი, ბელგია |
| 18 | აბდულა ჟირე | ასეკი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | კანდია ტრაორე | ესპერანსი, ტუნისი |
| 10 | იბრაჰიმ ბაკაიოკო | მარსელი, საფრანგეთი |
| 12 | კადერ კეიტა | ეტოილ შანელი, ტუნისი |
| 14 | არუნა დინდანე | ანდერლეხტი, ბელგია |
| 15 | ბონავენტურე კალუ | ფეიენოორდი, ჰოლანდია |
| 21 | ზეფირინ ზოკო | გენკი, ბელგია |

მწვრთნელი: ლამა ბამბა



ხავი მორენომ (მარცხნივ) და ხოსე მარიმ სამი გოლი გაიყვეს

# ერთი პესეტა გაისკასათვის

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩი

**ლაციო 2:3 მილანი (1:2)**

0:1 ხოსე მარი (4), 1:1 ინძაგი (23), 1:2, 1:3 ხავი მორენო (55, 58), 2:3 კრესპო (75)

ლაციო: პერუცი, ნეგრო, ფავალი, მიხაილოვიჩი, სტანკოვიჩი, ნესტა ... (კასტრომანი 85), დ. ბაჯო, მენდიეტა (ჯანიკედა 58), დ. სტანკოვიჩი, კრესპო, ს. ინძაგი

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

მილანი: ს. როსი, როკე ჟუნიორი, ლაურსენი, კოსტაკურტა (შამოტი 58). კალაძე, ბროკი, ალბერტინი (დონატი 78), გატუზო, სერჯინიო (უმითი 60), ხავი მორენო, ხოსე მარი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ბაჯო, მენდიეტა, ბროკი, როკე ჟუნიორი

მსაჯი: ფარინა

11 000 მაყურებელი

„ლაციოს" ამ სეზონში ალარაფერი ეშველება — „სტადიო ოლიმპიკოზე" იტალიის თასის მეოთხედფინალში, „მილანთან" 2:3 წააგო. ასე რომ ნახევრამდის თასი.

ეს გახლდათ მეორე, საპასუხო შეხვედრა, პირველში „მილანმა" 2:1 მოიგო და შესაბამისად რომაელებს საქმე გამოსასწორებელი ჰქონდათ, მაგრამ ოთხ წუთში გაირკვა, რომ კიდევ ერთი გოლით ჩამორჩნენ მეტოქეს — სერჟინიოს ჩინებული დრიბლინგი შორეულ ძელთან ხოსე მარის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

ამის შემდეგ სერჟინიომ ძელს გაარტყა ბურთი, თუმცა მომდევნო გოლი უკვე „მილანის" კარში გავიდა — ჩეხი კარელ პობორსკის მარჯვენაფლანგური აქტიურობა სიმონე ინძაგიმ დააგვირგვინა.

მილანელთა მხრივ „ლაციოს" კარს მარადიულ საფრთხეს „ალავესის" ყოფილი თავდამსხმელი ხავი მორენო უქმნიდა, თუმცა ერთ ეპიზოდში, როდესაც ანჯელო პერუცისთან პირისპირ გავიდა, ბურთის მოთვინიერება ვერ შეძლო. მეორე ნახევრის დასაწყისში კი მორენომ ხარიხას გაარტყა ბურთი, თუმცა საბოლოოდ მაინც მოახერხა „შავ-წითლების" ორი მატჩის ჯამში ორბურთიანი უპირატესობის აღდგენა — 55-ე წუთზე დაბალი დარტყმით „ლაციოს" კარის შორეული კუთხე დალაშქრა.

გამოხდა კიდევ სამი წუთი და იმავ მორენომ მეტოქის ბოლო ხაზი გაკვეთა, რის შედეგადაც „მილანი" უკვე სამი გოლით დაწინაურდა, თუმცა საბოლოო ანგარიში მას მერე დადგინდა, როცა რომაელთა არგენტინელმა ფორვარდმა ერნან კრესპომ საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე მიაღწია საწადელს.

ასეთმა შედეგმა „ლაციოს" ფანები ბუნებრივია გააცეცხლა. მათ სექტორში, იმ საღამოს, ბევრი დროშა დაიწვა.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფანთა განრისხება ამ დღეს არ დაწყებულა. პირველი უკმაყოფილება მაშინ იშვა, როდესაც კლუბმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა. კერძოდ, ზაფხულში გაასხვისეს ხუან სებასტიან ვერონი და პაველ ნედვედი. რაც შეეხება მათ სანაცვლოდ ნაყიდებს, იტალიელ სტეფანო ფიორესა და ესპანელ გაისკა მენდიეტას, მათ მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს. სწორედ ამის დასტური გახლდათ ტრიბუნაზე გამოფენილი პლაკატი: „მენდიეტა ერთი პესეტაც არ ღირს".

„მილანთან" მარცხამდე კი „მილანის" ყოფილი მწვრთნელი, დღეს „ლაციოს" სათავეში ჩამდგარი ალბერტო ძაკერონი ბრძანებდა, რომ საკუთარ მომავალს ამ თანამდებობაზე უკვე ბუნდოვნად ხედავს. ხუმრობა ხომ არ არის, უკვე ექვსი თამაშია, რაც რომაელებს არ გაუმარჯვიათ. ამიტომაც, გასაკვირი არ გახლდათ, „ლაციოს" წარმომადგენლებმა მედიასთან ურთიერთობას თავი რომ აარიდეს.

ყოველივეს დავამატოთ ასეთი ფაქტი: „მილანს" „ლაციოს" დასამარცხებლად ანდრეი შევჩენკოსა და რუი კოშტას გარჯა არ დასჭირვებია, დანარჩენმა ფეხბურთელებმაც კარგად გაართვეს თავი ამ, როგორც ჩანს, არც ისე რთულ დავალებას. მატჩის შემდეგ „შავ-წითლების" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ტელეკომპანია „რაი უნოს" განუცხადა:

„იტალიის თასი ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, რომლის მეოთხედფინალშიც შთამბეჭდავი „მილანი" ვიხილეთ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და ბევრს ვუტევდით".

**ბაჩუნა ძიდია**

## შოტლანდია

### თასის მეთექვსმეტედფინალი
### გადათამაშება

**ფოლკირკი (I) 0:1 დანდი**

0:1 ვუ (11)

დანდი: სპეროინი, სმიტი, ვუ, დელ რიო, ბეკეტი, არტერო (ბეიტი 62), რაე, რომანო, კარამია, სარა (მილოვანი 46), კაბალიერო (კემბი 77)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: კაბალიერო, მილოვანი

მსაჯი: ფრილენდი

4 739 მაყურებელი

### მერვედფინალის წილისყრა

დანდი იუნაიტედი — ჰამილტონი (II); პარტიკი (I) — დანდი; კლაიდი (I) — ფორფარი (II); ჰარტსი — ინვერნესი (I); რეინჯერსი ან ბერვიკი (II) — ჰიბერნიანი; ეარი (I) — დანფერმლაინი; კილმარნოკი — სელტიკი; აბერდინი — ლივინგსტონი

მატჩები გაიმართება 26-27 იანვარს

## პორტუგალია

### თასის მეოთხედფინალი

**ვილა რეალი (II) 0:4 სპორტინგი**

0:1 ტოლიტო (21), 0:2 ანდრე კრუზი (35პ), 0:3 ტოლიტო (65), 0:4 კუარეშმა (74)

**ლეიქსოესი (II) 3:1 პორტიმონენსე (II)**

1:0 ანშუე (36), 2:0 დეტინიუ (68), 2:1 ტონი (70), 3:1 ანშუე (78)

**სალგეიროში 2:2დ.დ. (2:2) მარიტიმუ**

0:1 გაუშო (2), 1:1 მ. გონსალვესი (19), 2:1 ტოიი კოშტა (38), 2:2 გაუშო (69)

**პორტუ 1:2 ბრაგა**

1:0 ნუნუ კაპუშუ (63), 1:1 კაშტანეირა (73), 1:2 როში (76)


რეკლამა სარბიელ-ში

TEL: 39 40 08, 93 16 08;
FAX: 94 33 80


# გი რუ მხცოვანი კაცია, ჩაეკიდნა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ლილი 2:2 ბორდო**

0:1 პაულეტა (30პ), 1:1 ბუტოილი (71), 1:2 პაულეტა (77), 2:2 სიგანი (88)

**ტრუა 2:0 მეცი**

1:0 ლოკუ (47), 2:0 გუჯე (69)

**მონპელიე 1:1 მონაკო**

0:1 ნონდა (26), 1:1 რუვიერი (90)

**ლიონი 0:0 ბასტია**

**ოსერი 2:2 ლორიანი**

1:0 ჯ. სისე (3), 2:0 მექსეში (63), 2:1, 2:2 დარშევილი (71, 90)

**საფრანგეთში** ოდნავ გამოიდარა და ალაგ-ალაგ გადადებული მატჩებიც გაიმართა. „ლანსის" ყველა მდევარმა, თითქოს პირი შეკრესო, თავთავიანთი შეხვედრები ფრედ ითამაშეს. ლიდერთან მიახლოების კარგი შანსი ჰქონდა „ლიონს", მაგრამ კორსიკულმა „ბასტიამ" არ დაანება. კუნძულელებს თავად უჭირთ და აგერ ორ გასვლით მატჩში ორი ქულა მიითვალეს. სტუმართა მეკარემ ნიკოლა პენეტომ ძალიან იყოჩაღა. ლიონელებმა, სონი ანდერსონმა და სიდნეი გოვუმ, ბევრი უბრახუნეს პენეტოს კარის ჩარჩოს, მაგრამ ამაოდ.

ბოლო ხუთ შეხვედრაში ოთხჯერ დამარცხებულმა „ლილმა" ცხრილში თავის მეზობელ „ბორდოს" უმასპინძლა. აქაც ქულები გაიყვეს მეტოქეებმა. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის გუნდმა შინ პირველი ფრე გააზერხა, თუმცა კი მატჩის მსვლელობისას ორჯერ აგებდა. მოუსვენარმა პორტუგალიელმა პედრო პაულეტამ დუბლი შეასრულა, მაგრამ პასკალ სიგანის გვიანმა გოლმა „ლილს" ქულა მოუტანა.

მხცოვანი გი რუს „ოსერი" მესამე წუთზევე შეუდგა საქმეს. ყმაწვილკაცმა ჯიბრილ სისემ გახსნა, ფილიპ მექსესმა კი გააორა ანგარიში. მასპინძლებს ამის შემდეგ ჩაეძინათ და ბოლო 20 წუთში სტუმარმა ჟან-კლოდ დარშევილმა ოსერელები წყვილი გოლით გამოაღვიძა. გამოღვიძებულებმა აღმოაჩინეს, რომ შეხვედრა დასრულებულიყო და ქულასღა დასჯერდნენ.

ბოლო ტურებში მომძლავრებულ „მონპელიეს" „მონაკო" ბოლო წუთამდე უგებდა და ახლოს იყო სტუმრად მეორე გამარჯვებასთან. ბოლო წუთზე ქანკრისტოფ რუვიერმა შეძლო გათანაბრება და დიდიე დეშანს ხასიათი წაუხდინა.



ლიონი — ბასტია. კორსიკელთა მეკარე ნიკოლა პენეტომ სონი ანდერსონს პენალტიც აუღო

REUTERS

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 20 | 13 | 5 | 2 | 36:14 | 44 |
| ლიონი | 20 | 11 | 4 | 5 | 37:20 | 37 |
| პსჟ | 21 | 8 | 10 | 3 | 25:16 | 34 |
| ოსერი | 19 | 9 | 7 | 3 | 28:20 | 34 |
| ლილი | 21 | 9 | 7 | 5 | 27:22 | 34 |
| ბორდო | 20 | 8 | 8 | 4 | 19:13 | 32 |
| მონპელიე | 20 | 7 | 8 | 5 | 21:16 | 29 |
| სოშო | 21 | 7 | 7 | 7 | 28:26 | 28 |
| ტრუა | 19 | 8 | 4 | 7 | 23:21 | 28 |
| მონაკო | 21 | 7 | 6 | 8 | 23:23 | 27 |
| მარსელი | 20 | 5 | 9 | 6 | 19:19 | 24 |
| ბასტია | 21 | 7 | 3 | 11 | 22:31 | 24 |
| სედანი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:22 | 22 |
| ნანტი | 21 | 6 | 4 | 11 | 18:28 | 22 |
| რენი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:33 | 20 |
| გენგამი | 21 | 5 | 5 | 11 | 18:37 | 20 |
| მეცი | 18 | 5 | 2 | 11 | 9:20 | 17 |
| ლორიანი | 21 | 4 | 5 | 12 | 30:44 | 17 |

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები: კრეტეი — ვალკენი 2:0. სტრასბური — ისტრი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოვე | 23 | 11 | 9 | 3 | 26:12 | 42 |
| აიაჩო | 23 | 11 | 7 | 5 | 30:18 | 40 |
| სტრასბური | 20 | 11 | 6 | 3 | 29:12 | 39 |
| ლე ავრი | 21 | 9 | 9 | 3 | 28:14 | 36 |
| ნიცა | 23 | 10 | 3 | 10 | 31:26 | 33 |
| ლე მანი | 22 | 9 | 6 | 7 | 24:24 | 33 |
| კაენი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:34 | 32 |
| ამიენი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:25 | 31 |
| შატორუ | 20 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 29 |
| გენიონი | 21 | 6 | 11 | 4 | 23:24 | 29 |
| ნანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 24:20 | 28 |
| ლავალი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:30 | 27 |
| გრენობლი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:31 | 27 |
| ნიორი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:27 | 26 |
| ვასკელი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:29 | 25 |
| სენტ ეტიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 20:29 | 22 |
| ისტრი | 22 | 4 | 9 | 9 | 18:25 | 21 |
| მარტიგი | 22 | 5 | 6 | 11 | 17:29 | 21 |
| კრეტეი | 22 | 4 | 8 | 10 | 21:29 | 20 |
| ნიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 19:28 | 18 |



რაიო — რეალი. ვალეკანოელი ისკოიტია (№18) დიდ თანაქალაქელებს არ შეეპუა

# ფიგერესს ნუ ეხუმრებით

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩები

**რაიო ვალეკანო 1:0 რეალი (0:4)**

1:0 პერაზონი (90)

**ფიგერესი (III) 0:0 კორდოვა (II) (2:0)**

**ვალიადოლიდი 2:1დ.დ. (2:0) დეპორტივო (0:2)**

1:0 ფერნანდო (4), 2:0 მარიო (36), 2:1 ტრისტანი (103)

**ბილბაო 1:0 ვილიარეალი (2:0)**

1:0 გერერო (13)

„**ფიგერესი**" პირველი მესამედივიზიონური კლუბია ესპანური ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც ქვეყნის თასის ნახევარფინალამდე მიაღწია. მოდით, იმასაც ნუ დავუკარგავთ ამ გუნდს, რომ ერთ-ერთ წინა ეტაპზე მან „ბარსელონა" გამოთიშა გათამაშებას, ახლა კი მეორედივიზიონელ „კორდობას" ორი მატჩის ჯამში 2:0 მოუგო. ნახევარფინალში კატალონიურ „ფიგერესს" მადრიდის „რეალთან" მოუწევს გამოცდის ჩაბარება.

„სამეფო კლუბმა" კი თავის მხრივ მეოთხედფინალში თანაქალაქელი „რაიო ვალეკანო" ჩამოიტოვა გზიდან. ესპანეთის ჩემპიონებმა პირველი მატჩი 4:0 მოიგეს და ვისენტე დელ ბოსკემ ვალეკანოელებს ჩვეულზე სუსტი შემადგენლობა დაუპირისპირა.

პრიმერადივიზიონის ბოლოადგილოსნებმა შეძლეს პირველადგილოსნების 1:0 დამარცხება და ის ერთადერთი გოლიც მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში შეცვლაზე შესულმა რობერტო პერაზონმა გაიტანა. „რეალმა" შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა, ვთქვით და ახლა დავაზუსტოთ. რაულმა, ზიდანმა, ფიგუმ, იერომ და მორიენტესმა მატჩი გამოტოვეს. მწვრთნელმა ამჯობინა, „სანტიაგო ბერნაბეუზევე" გადაწყვეტილ საბოლოო გამარჯვებაში გუნდის მთავარი მოქმედი პირები „ტერეზა რივეროზე" სირბილით აღარ გადაეღალა.

აი, „ვალიადოლიდი" — „დეპორტივოს" დუელში საუკეთესოს გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა. გალისიელებს საშინაო მატჩში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა „ვალიადოლიდმა" ხელიდან გამოაცალა და ვითარებაც დაიძაბა.

ძირითადი დრო მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. გალისიელთა თავსატეხს 98-ე წუთზე ისიც მიემატა, რომ მსაჯმა ენრიკე რომერო გააძევა მოედნიდან და ხავიერ ირურეტას ბიჭებიც ათნი დარჩნენ, თუმც ცოტა ხანში ვალიადოლიდელებმა საკუთარ საჯარიმოში ვალტერ პანდიანი წააქციეს და დიეგო ტრისტანმა „დეპორტივო" პენალტით დააწინაურა. ორი მატჩის ჯამში დამატებითი დროის ამოწურვას კი ორი წუთი უკლდა, როცა პანდიანიმ მეორე ყვითელი მიიღო და სტუმრები სულაც ცხრა კაცით დარჩნენ, თუმც დრო იმდენად მცირე იყო, რომ გაძლეს და ნახევარფინალშიც გავიდნენ, სადაც ბილბაოს „ატლეტიკს" დაუპირისპირდებიან. ბასკებმა საშინაო გაარკვიეს ურთიერთობა „ვილიარეალთან" და ორი მატჩის ჯამში 3:0 მოიგეს.

**ნიკა შუბლაძე**

„არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა ლონდონიდან მადრიდში ჩავიდა და თან თავისი აგენტი მარკ როჯერიც იახლა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ „რეალი“ მართლაც სერიოზულად აპირებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ხელში ჩაგდებას.



ხორხე ვალდანო




# თუ რეალმა მოინდომა... ვიერა მადრიდში ჩავიდა

## ვინ მოხვდა ვალდანოს სიაში?

**გაზეთმა** „მარკამ“ ისიც შეიტყო, რომ „სამეფო კლუბის“ დირექტორატს ვიეირასთან შეხვედრის დროს ფეხბურთელთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე, ხოლო ლონდონის „არსენალისთვის“ სანაცვლოდ 42 მილიონი ევროს გადახდაზე ულაპარაკია.

„რეალმა“ ტრანსფერის თაობაზე ოფიციალური კომენტარი არ გააკეთა. ჟურნალისტები მადრიდული კლუბის სპორტული დირექტორის, ხორხე ვალდანოსგან შეეცადნენ რაიმეს გაგებას, მაგრამ თითქმის უშედეგოდ. ვალდანომ ისინი მშრალი ფრაზით გაისტუმრა: „ტრანსფერის დეტალებზე ვერაფერს ვიტყვი, მოვა დრო და ყველაფერი ნათელი გახდება“.

ვიეირა ესპანეთში ინგლისიდან უნდა გადავიდეს და ამიტომ მის შესაძლო ტრანსფერს „სანმაც“ მიაპყრო ყურადღება. ბრიტანულმა ტაბლოიდმა ფრანგის მოთხოვნები გამოაქვეყნა, რაც ჯერჯერობით ოფიციალურად არავის დაუდასტურებია. „სანი“ ამტკიცებს, რომ ფრანგი „რეალთან“ კონტრაქტის ხელმოწერისთანავე 2,2 მილიონ გირვანქას და ჯამაგირად კვირაში 75 ათას გირვანქას ითხოვს, თან მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ხელფასი 90 ათას გირვანქამდე უნდა გაუზარდონ. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ 25 წლის ვიეირას „არსენალთან“ კონტრაქტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ უსრულდება.

ახლა მეორე ამბავიც, რომელიც „რეალს“ ეხება. ორიოდ დღის წინ გაუწყეთ, ხორხე ვალდანოს ჯერჯერობით ორი ფეხბურთელი — ვიეირა და შევჩენკო ჰყავს შეგულებული და უახლოეს მომავალში რომელიმე მათგანთან, ალბათ, კონტრაქტსაც გააფორმებსო. ამაზე ვალდანომ განაცხადა: „დიახ, ვიეირა და შევჩენკო მართლაც არიან სიაში. თუმცა ვინ ჩაიხედა იმ სიაში ან საიდან დაასკვნა, რომ იქ მარტო ორი ფეხბურთელია? თუ გნებავთ, ახლავე გადმოგცემთ იმ ათი ფეხბურთელის ჩამონათვალს, რომლებიც მე მომწონს და მათ „რეალში“ ყოფნას ვისურვებდი“.

ვალდანომ სიტყვა გატეხა და ჟურნალისტებისთვის იმ ათი ფეხბურთელის ნუსხა არ გადაუცია. თუმცა, თუ მას „რეალისთვის“ რომელიმე მოთამაშე მოეწონა, პრეზიდენტ ფლორენტინო პერესისგან დიდი წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს, რადგან „რეალის“ პირველმა პირმა ამას წინათ განაცხადა, ვალდანოს გემოვნებას ვენდობიო.

**ნიკა შუბლაძე**

# ეს რა ლაპარაკია?!

## ყველა მორბის, რობერტო კარლოსი გარბის

**ბრაზილიის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მარცხენა მცველს, რობერტო კარლოსს ნოსტალგია მოხძალებია. საქმე ისაა, რომ აქამდე „სამეფო კლუბისადმი“ დიდი სიყვარულით გამსჭვალული ფეხბურთელი იტალიაში დაბრუნებაზე ალაპარაკდა. შეგახსენებთ, რომ მადრიდში გადასვლამდე რობერტო კარლოსი ჯერ „პარმაში“, შემდეგ კი „ინტერში“ თამაშობდა, სადაც თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. აი, „რეალში“ კი იგი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავად იქცა. მიუხედავად იტალიური იმედგაცრუებისა, მაინც დიდი სიყვარულით ლაპარაკობს იქაურ ჩემპიონატზე. აი, რა განუცხადა მან „აუტო სპორტს“: „მართალია „რეალთან“ 2005 წლამდე მაკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი „ინტერში“. ჩემი სურვილი, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ ჩემს ტიტულებს შორის არ არის სკუდეტო. ძალიან მინდა, იტალიის ჩემპიონი გავხდე და ამას თუ „ინტერის“ რიგებში მოვახერხებ, უზომოდ გავიხარებ. დღესაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს ხავიერ ძანეტისთან, იგი ნამდვილი კაპიტანია“.

ჟურნალისტის კითხვაზე, ეს ყველაფერი აპენინებზე დაბრუნებას ხომ არ ნიშნავსო, რობერტო კარლოსმა ასე უპასუხა: „ჩემი „ინტერში“ გადასვლა მასიმო მორატისა და ხორხე ვალდანოს სურვილზეა დამოკიდებული. პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“.

ბოლოს კი ბრაზილიელმა მცველმა თქვა: „ინტერი“ ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტია, კუპერი კი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი. მწამს, რომ ის გუნდს სკუდეტომდე მიიყვანს. ჩემი წასვლის შემდეგ მარცხენა ფლანგზე „ინტერს“ კარგი ფეხბურთელი არ ჰყოლია, ხოლო რონალდოზე ვიტყვი, რომ მას უსაზღვრო ნიჭი აქვს და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებს დიდ სამსახურს გაუწევს“.

**ზურაბ რუხაძე**



რაზე ფიქრობს რობერტო კარლოსი?

# შირერი ანრის თვალია

## ალან სმიტი: პატარა და წითელი



ალან სმიტი

**ათიოდე დღის** წინ „ლიდს იუნაიტედისა“ და „კარდიფის“ სათასო მატჩში იორკშირელთა თავდამსხმელმა ალან სმიტმა წითელი ბარათი მიიღო. ეს მეექვსე გაძევება გამოდგა მის არცთუ ხანგრძლივ კარიერაში. 21 წლის ფეხბურთელს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუმც „ლიდს იუნაიტედმა“ გააპროტესტა და ჯერჯერობით იმას მაინც მიაღწია, რომ სასჯელის ათვლა მომავალი უქმეებიდან ანუ „ლიდსი“ — „არსენალის“ მატჩიდან არ დაიწყება და სმიტი ამ თამაშში მიიღებს მონაწილეობას.

ახლა ლიდსელები იმას ამტკიცებენ, რომ „კარდიფთან“ მატჩში არბიტრი ემოციებს აჰყვა და სმიტი უდანაშაულოდ გააძევა. „მსაჯი ძალიან მკაცრი იყო ალანისადმი და საერთოდაც მას არასდროს ინდობენ“ — განაცხადა იორკშირელთა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ. „ლიდსმა“ კი აპელაცია შეიტანა, რომ ფეხბურთელს ის დისკვალიფიკაცია, რომელიც ემუქრება, საერთოდ მოუხსნან. სამკაციანი კომისია გაარკვევს, რამდენად იმსახურებდა სმიტი გაძევებას და თუ მას გაამართლებენ, მაშინ მხოლოდ ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს, 30 იანვარს „ჩელსისთან“, ისიც იმიტომ, რომ წინა ტურში „ნიუკასლ იუნაიტედთან“ სეზონში თავისი მეხუთე ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. თუ კომისიამ სმიტი გაამტყუნა, მაშინ იგი ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციას მიიღებს და მოედანს მხოლოდ 3 მარტს დაუბრუნდება.

სადისციპლინო კომიტეტისგან შერისხვა „არსენალის“ ფრანგ თავდამსხმელ ტიერი ანრისაც ელის. რამდენიმე ტურის წინ „ნიუკასლთან“ 1:3 წაგების გამო გაცხარებული ანრი მატჩის ბოლოს არბიტრს მიეჭრა და ედავებოდა, ჩვენი მარცხი შენი არაობიექტურობის ბრალიაო. ამის გამო ფრანგს სასჯელი ელის, თუმცა „არსენალი“ კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

აი, ალან შირერი კი ნამდვილი ჯენტლმენი გამოდგა, განაცხადა, ანრი დამნაშავე არ არის, მასსა და მსაჯ პოლ დარკინს შორის ვიდექი და მოწმე ვარ, ფეხბურთელს არბიტრისთვის ცუდი არაფერი უკადრებია, ლონდონელებს სიტყვას აუცილებლად შევაწევ და საქმის განხილვის დროს მოწმედაც გამოვალო.

**ნიკა შუბლაძე**



ალან შირერმა ტიერი ანრის და პოლ დარკინის გაშველება სადისციპლინო კომიტეტშიც ითავა

## ინგლისი

### 1 დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**კრისტალ პალასი 3:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 კ. მორისონი (3), 1:1 ონუორა (29), 2:1 კ. მორისონი (65), 3:1 ფრიდმანი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 28 | 17 | 4 | 7 | 66:37 | 55 |
| მილუოლი | 29 | 15 | 7 | 7 | 50:30 | 52 |
| ვულვზი | 28 | 15 | 7 | 6 | 43:24 | 52 |
| ბარნლი | 27 | 15 | 6 | 6 | 49:38 | 51 |
| ნორვიჩი | 29 | 15 | 4 | 10 | 42:39 | 49 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 14 | 6 | 9 | 33:23 | 48 |
| ბირმინგემი | 29 | 13 | 8 | 8 | 46:34 | 47 |
| კრ. პალასი | 29 | 15 | 2 | 12 | 52:41 | 47 |
| პრესტონი | 28 | 11 | 10 | 7 | 44:36 | 43 |
| ქოვენთრი | 28 | 13 | 4 | 11 | 35:29 | 43 |
| უოტფორდი | 28 | 11 | 7 | 10 | 42:33 | 40 |
| ნოტინგემი | 29 | 9 | 12 | 8 | 32:27 | 39 |
| ჯილინგემი | 29 | 11 | 6 | 12 | 42:42 | 39 |
| შეფილდი | 29 | 9 | 11 | 9 | 32:35 | 38 |
| უიმბლდონი | 27 | 9 | 9 | 9 | 42:39 | 36 |
| პორტსმუთი | 28 | 10 | 6 | 12 | 40:44 | 36 |
| ბრედფორდი | 28 | 10 | 5 | 13 | 49:53 | 35 |
| როტერჰემი | 27 | 7 | 10 | 10 | 34:41 | 31 |
| ბარნსლი | 29 | 7 | 10 | 12 | 39:52 | 31 |
| ქრიუ | 27 | 7 | 8 | 12 | 26:42 | 29 |
| უოლსოლი | 29 | 7 | 6 | 16 | 32:48 | 27 |
| უენსდი | 28 | 6 | 9 | 13 | 28:45 | 27 |
| გრიმსბი | 29 | 6 | 9 | 14 | 25:49 | 27 |
| სტოკპორტი | 29 | 2 | 6 | 21 | 25:67 | 12 |

### ასოციაციის თასი
### მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

ბრაიტონი (I) — შეფილდ იუნაიტედი (I); როტერჰემი (I) — ქრიუ (I); ჩარლტონი — უოლსოლი (I); ტრანმერი (II) — კარდიფი (II); ჯილინგემი (I) — როვერსი (III); იორკი (III) — ფულემი; დარლინგტონი (III) ან პიტერბორო (II) — ნიუკასლი; ტოტენჰემი — ბოლტონი; ჩელსი — ვესტ ჰემი; მილუოლი (I) — ბლექბერნი; ჩელტენჰემი (III) — ბარნსლი (I); ევერტონი — ლეიტონი (III); ვესტ ბრომვიჩი (I) — ლესტერი; მიდლსბრო — მანჩესტერ იუნაიტედი; იფსვიჩი — მანჩესტერ სიტი (I); არსენალი — ლივერპული

მატჩები გაიმართება 26-27 იანვარს

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამარჯვებული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამარჯვებული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გამართვის შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მოგება, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მოგებები

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტური

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 001 | დერბი-იფსვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 002 | ლესტერი-ნიუკასლი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 19.00 | 003 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 004 | ლივერპული-საუთჰემპტონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 006 | მანჩესტერი-ბლექბერნი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 007 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 008 | სანდერლენდი-ფულემი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 009 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 011 | ლიდსი-არსენალი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

21 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 012 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

ინგლისი. I დივიზიონი. XXX ტური

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 016 | ბარნსლი-ბრედფორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 017 | ბირმინგემი-უიმბლდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 018 | ბერნლი-უოლსოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 019 | ქოვენტრი-სტოკპორტი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 020 | ქოვენტრი-სტოკპორტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 021 | ქრიუ-გრიმსბი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 022 | კრისტალ პალასი-როტერჰემი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 023 | პრესტონი-ჯილინგემი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 024 | შეფილდი-ნოტინგემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 025 | ნორვიჩი-მილუოლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.15 | 026 | ვესტ ბრომვიჩი-უოლვერჰემპტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 027 | ვესტ ბრომვიჩი-უოლვერჰემპტონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 22.15 | 028 | უოტფორდი-სიტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

ინგლისი. II დივიზიონი. XXIX ტური

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 031 | ბორნმუთი-ჰადერსფილდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 032 | ბრენტფორდი-უიგანი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 033 | ბრაიტონი-კემბრიჯი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 034 | ბრაიტონი-კემბრიჯი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 035 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 036 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 037 | ბერი-ტრანმერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 038 | კოლჩესტერი-ჩესტერფილდი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 039 | ნოტსი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 040 | ოლდემი-რექსემი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 041 | ოლდემი-რექსემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 042 | პიტერბორო-სუინდონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 043 | რედინგი-ბლეკპული | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 044 | რედინგი-ბლეკპული 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 045 | სტოკი-ქუინზ პარკი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 046 | უიკომი-კარდიფი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ინგლისი. II დივიზიონი. XXX ტური

21 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 047 | სკანთორპი-ბრაიტონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

ინგლისი. III დივიზიონი. XXIX ტური

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 052 | ტორკი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 053 | დარლინგტონი-საუთენდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 054 | ჰალიფაქსი-ლინკოლნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 055 | ჰალი-ექსეტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 056 | ლეიტონი-ჩელტენჰემი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 057 | ლუტონი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 058 | მანსფილდი-ჰარტლპული | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 059 | რიშდენი-ოქსფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 060 | რაშდენი-იორკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 061 | სკანთორპი-კიდერმინსტერი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 062 | შრუსბერი-პლიმუთი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 063 | სუონსი-მაკლსფილდი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 074 | ვალანსი-ლე მანი | 2,3 | 2,7 | 3,2 |

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 075 | სენტ ეტიენი-გრენობლი | 1,85 | 2,8 | 4,4 |

იტალია. სერია "ა". XX ტური

19 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 076 | ბრეშა-ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,8 |

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 077 | ბოლონია-კიევო | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 078 | ინტერი-პარმა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 079 | ინტერი-პარმა 0:1 | 1,95 | 3,0 | 2,6 |
| 18.00 | 080 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 081 | იუვენტუსი-ატალანტა 0:1 | 1,95 | 3,0 | 2,6 |
| 18.00 | 082 | ლაციო-პერუჯა | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 083 | ლაციო-პერუჯა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 084 | ლეჩე-პიაჩენცა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 085 | უდინეზე-რომა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 18.00 | 086 | ვერონა-ვენეცია | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 087 | ფიორენტინა-მილანი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

იტალია. სერია "ბ". XXI ტური

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 088 | კოზენცა-სამპდორია | 2,5 | 2,8 | 2,7 |

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 089 | კალიარი-პალერმო | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 18.00 | 090 | კომო-რეჯინა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 18.00 | 091 | ემპოლი-ბარი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 092 | ჯენოა-პისტოიეზე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 18.00 | 093 | მოდენა-კროტონე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 094 | მოდენა-კროტონე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 095 | სალერნიტანა-ჩიტადელა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 18.00 | 096 | ტერნანა-მესინა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 18.00 | 097 | ვიჩენცა-სიენა | 1,4 | 3,4 | 7,5 |

21 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 098 | ანკონა-ნაპოლი | 2,7 | 2,7 | 2,6 |

იტალია. სერია "ც1-ა". XX ტური

20 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 099 | ლეკო-სპალი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 100 | ლუკეზე-პიზა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| | 101 | ლუკეზე-პიზა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,3 |
| 17.30 | 102 | პრატო-ლუმეზანე | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 103 | პადოვა-კარარეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 17.30 | 104 | რეჯანა-ნოვარა | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 17.30 | 105 | სპეცია-ალბინოლეფე | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 106 | სპეცია-ალბინოლეფე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 17.30 | 107 | ტრევიზო-ვარეზე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 17.30 | 108 | ტრიესტინა-ალზანო | 1,7 | 2,8 | 5,6 |

21 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 109 | ლივორნო-არეცო | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 110 | ლივორნო-არეცო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ქუვეითის** ნაკრების გერმანელი თავკაცი ბერტი ფოგტსი მზადაა, უახლოეს ათ დღეში შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. „ფოგტსი ძალიან კარგი მწვრთნელია. მან ხომ გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა" — მხარი დაუჭირა გერმანელს სკოტთა ყოფილმა დამრიგებელმა კრეიგ ბრაუნმა. შეგახსენებთ, რომ ფოგტსის გარდა კანდიდატებად იტალიელი ნევიო სკალა და ფრანგი ფილიპ ტრუსიე მოიაზრებიან. „მე მზად ვარ, შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები დავიწყო. შოტლანდიაში მუშაობის პერსპექტივამ საკმაოდ მომხიბლა" — განაცხადა ფოგტსმა.

**ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთლიან შემადგენლობას პრემიალური თანხები დაურიგა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ უგო მორას თქმით, საერთო ჯამში მათ 3 500 000 დოლარი გადაუხადეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული ეროვნული ნაკრების წევრებს. „ფეხბურთელთა უმეტესობამ დაპირებული უკვე მიიღო. ლეგიონერებს კი ფული მოგვიანებით, ყოველგვარი გართულებების გარეშე გადაერიცხებათ" — განაცხადა მორამ.**







# მუჰამედ ალი

## ამ კაცამდე ცხოვრება უფრო ბნელი და ცივი იყო

**მუჰამედ ალი** სამოცი წლისა შესრულდა. მთლად აცახცახებული, ხმის კანკალით მოლაპარაკე და პარკინსონით ტანჯული ის კვლავ გამოჩნდა ტელეეკრანებზე. ჰოლივუდის ვარსკვლავთა ხეივანში მისი ვარსკვლავი გაამზადეს, ოღონდ ფილაქანში კი არ ჩაუდგამთ, კედელს მიაკრეს. ასეთი იყო თავად მოკრივის სურვილი. ალის არ უნდოდა, მისი სახელისთვის ფეხი დაებიჯებინათ ადამიანებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ლანძღავდნენ.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მძიმეწონოსანი, რომელიც მსუბუქწონოსანივით სხარტია, კრივის უდიდესი ორთაბრძოლების მონაწილე, სამყაროს უდიადესი მოკრივე... ეს ჩამონათვალი სრულიად არაფერია იმასთან, რაც სინამდვილეში იყო ალი. კენტუკიში დაბადებული კასიუს მარსელიუს კლეი, შემდგომში მუსლიმი, საუკეთესო საკრივო წლების სასამართლოებში გამტარებელი ვიეტნამის ომში არწასვლის გამო, რასიზმთან მებრძოლი და ამის გამო ოლიმპიური ოქროს მედლის წყალში გადამგდები, შოუმენი, ისლამის მქადაგებელი, წიგნების ავტორი, სრული ჯადოქარი რინგზე, სამაგალითო სპორტსმენი. აი, ნამდვილი ალი. კაცი პროტესტი, კაცი დიდოსტატი, ოცი წელიწადი პროფესიულ რინგზე, სადაც სადავო პირველ ჩემპიონობას უდავო გმირობა მოჰყვა.

რაც უნდა ვილაპარაკოთ, მაინც საუკეთე წარმოუდგენელია მუჰამედ ალის გარეშე. მისი სამი დიადი შერკინება ჯო ფრეზერთან, შერკინება ჯორჯ ფორმენთან, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი, მისი ოჯახი. ეს ყველაფერი ერთადაა. ალის არსებობამ ხომ უამრავი რამ შეცვალა არა მარტო კრივში, არამედ ცხოვრებაში, საზოგადოებაში, დამოკიდებულებაში მოვლენების მიმართ. ალი მითი არ არის. ის არც მერილინ მონროა და არც ელვის პრესლი. ალი მარცხდებოდა რინგზეც და ცხოვრებაშიც, რადგან ვინც ნამდვილია, მარცხდება ხოლმე და არც არასოდეს კვდება. ის მარცხდებოდა, მაგრამ სურათი მისი გამარჯვებისა გენიალურია და სიდიადეც ამ მარცხისა და გამარჯვების ნაზავშია. ის ხელშეუხებია და ყოველთვის არის, ფიზიკურად დაძაბუნებულიც კი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ უდიდესი მოკრივე. მისი ამყამინდელი იერიც კი თითქოს სხვა პლანეტიდან მოსული ძალის იერია.

მუჰამედ ალი სამოცი წლისაა და ეს მისალოცი თარიღია. თუმცა, წლებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ამ შემთხვევაში. მარადისობას ასაკი არა აქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**







*ყველაფერი ზღაპარივით კეთილად დასრულდა. ნიკა ცქიტიშვილი ექვსი წლით კვლავ ტრევიზოს „ბენეტონის" საკუთრებაა. 18 წლის ქართველისთვის იტალიელ-სლოვენიელთა ხუთთვიანი დავა ერთმა სატელეფონო ზარმა გადაჭრა*

# ნიკა ცქიტიშვილი თავისუფალი და პირველი ევრო-ქართველია

## მისი აგენტი 007 არ არის, მაგრამ საქმეებს ისიც კარგად აგვარებს

**ვინ მოთვლის,** ამ ხნის მანძილზე რამდენი ხვეწნა-მუქარა იყო. საქმე სასამართლომდე მივიდა, სასამართლო კი რამდენჯერმე გადაიდო. „სლოვანი" კბილებით იცავდა 210-სანტიმეტრიან ფორვარდს, გათავისუფლების ფურცელს არ აძლევდა, ამიტომაც ცქიტიშვილის „ბენეტონთან" გაფორმებულ კონტრაქტს ძალა არ ჰქონდა.

მთავარი მოვლენები ამ ბოლო დღეებში განვითარდა. 14 იანვარს ლიუბლიანაში მორიგი სასამართლო სხდომა იყო დანიშნული. სავიზო პრობლემებმა იჩინა თავი და ნიკა ადვოკატითურთ სლოვენიაში ვერ წავიდა. საქმე თითქოს რთულდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი ქართველისა და „ბენეტონის" სასარგებლოდ დასრულდა. მისი მომკვარახჭინებელი კევინ გარნეტისა და მისთანათა მენეჯერი, საკალათბურთო სამყაროში დაფასებული კაცი მარკ ფლეიშერია. იგი კალათბურთის მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად ქართველების — ცქიტიშვილის, ფაჩულიასა და ბოისას სატრანსფერო საქმეების გამრიგეცაა.

— იტალიაში საკონსულო საქმიანობაში რაღაც-რაღაცები შეიცვალა, ამიტომაც მე და ადვოკატი სლოვენიაში ვერ გავემგზავრეთ. ცხადია, სასამართლო არ გამართულა, რის გამოც ჩემი მენეჯერი ფლეიშერი იტალიაში ჩამოვიდა. ის ტელეფონით დაუკავშირდა „სლოვანის" ტექნიკურ დირექტორ იანეზ რაიგლს და გათავისუფლების ფურცელი მოსთხოვა. პასუხად ისევ უარი მიიღო და ისინი შელაპარაკდნენ. ბოლოს ჩემმა აგენტმა ფული შესთავაზა. სლოვენიელი დიდ თანხას ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ 76 ათას ევროზე შეთანხმდნენ.

ეს ამბავი მერე გავიგე, როცა შინ დამირეკეს და „ბენეტონის" ოფისში მისვლა მთხოვეს. კლუბის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, დირექტორი, ჩემი მენეჯერი — ყველანი იქ დამხვდნენ. მათი პირველი სიტყვები იყო — „ცქიტო, გილოცავთ, შენ „სლოვანისგან" თავისუფალი ხარ". მე არ მჯეროდა. ათ წუთში ფაქსით სლოვენიიდან გათავისუფლების ფურცელი მოვიდა, სიხარულისგან გავოგნდი.

**— ახლა როგორი სიტუაციაა?**

— გუშინ ევროლიგის მატჩი გვქონდა გერმანულ „ალბასთან". ჩემი საქმე ცოტა ადრე რომ მოგვარებულიყო, ვგებ მეთამაშა. ფორმას დღეს მაძლევენ. შემადგენლობაშიც და ინტერნეტ-გვერდშიც ალბათ დღეს შემიყვანენ.

**— ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, მწვრთნელი მაიკ დანტონი რას ფიქრობს, შენი კლუბში დატოვება სურს თუ...**

— მწვრთნელი ჩემით კმაყოფილია, განათხოვრებაზე არავინ საუბრობს. ვფიქრობ, არ გამიჭირდება ძირითად გუნდში ადგილის დამკვიდრება და უახლოეს მატჩებშიც მომიწევს თამაში.

**ირაკლი ბერბაია**



ნიკა ცქიტიშვილის „ბენეტონში" თამაშს ალბათფერი აბრკოლებს

## საპორტას თასი

### ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 15-16 იანვარი

#### A ჯგუფი

ტელეკომი (პორტუგალია) — ტელეკომი (თურქეთი) 108:104, ლუგანო (შვეიცარია) — სნაიდერო (იტალია) 77:88, პამესა (ესპანეთი) — სტრასბური (საფრანგეთი) 78:73

პამესა 14 ქულა, სნაიდერო 14, ტელეკომი (თურქეთი) 12, სტრასბური 12, ტელეკომი (პორტუგალია) 10, ლუგანო 10

#### B ჯგუფი

სიენა (იტალია) — ჰაპოელი (ისრაელი) 99:77, ლე მანი (საფრანგეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 88:75, დარუშაფაკა (თურქეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 76:86

სიენა 14 ქულა, ესტუდიანტესი 14, პანიონიოსი 12, ჰაპოელი 12, ლე მანი 11, დარუშაფაკა 9

#### C ჯგუფი

არკადია (ავსტრია) — ტელეკომი (გერმანია) 81:102, რიკო (ჰოლანდია) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 70:82, ანჟე (პოლონეთი) — უნიკსი (რუსეთი) 79:85

ლიეტუვოს რიტასი 16 ქულა, უნიკსი 14, ტელეკომი 13, ანჟელი 12, რიკო 10, არკადია 8

#### D ჯგუფი

ირაკლისი (საბერძნეთი) — იგოკეა (ბოსნია) 86:50, კერაუნოსი (კვიპროსი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 59:100, სპლიტი (ხორვატია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 86:40

ირაკლისი 14 ქულა, სლოვაკოფარმა 14, ბუდუჩნოსტი 14, სპლიტი 12, იგოკეა 10, კერაუნოსი 8

# კორაჩის თასი

## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 15-16 იანვარი

### A ჯგუფი

ფუენლაბრადა (ესპანეთი) — შალონი (საფრანგეთი) 83:55, მონსი (ბელგია) — ბაიერი (გერმანია) 65:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფუენლაბრადა | 6 | 3 | 3 | 501:465 | 9 |
| ბაიერი | 6 | 3 | 3 | 458:445 | 9 |
| მონსი | 6 | 3 | 3 | 454:479 | 9 |
| შალონი | 6 | 3 | 3 | 431:455 | 9 |

### B ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — მიულერი (იტალია) 87:81, ნანსი (საფრანგეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 84:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 6 | 5 | 1 | 555:511 | 11 |
| პორტუ | 6 | 3 | 3 | 547:578 | 9 |
| მიულერი | 6 | 2 | 4 | 521:520 | 8 |
| ანტვერპენი | 6 | 2 | 4 | 486:500 | 8 |

### C ჯგუფი

დიჟონი (საფრანგეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 94:63, ოვარენში (პორტუგალია) — ფორუმი (საფრანგეთი) 80:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მარუსი | 6 | 5 | 1 | 464:468 | 11 |
| დიჟონი | 6 | 3 | 3 | 476:453 | 9 |
| ოვარენში | 6 | 2 | 4 | 447:463 | 8 |
| ფორუმი | 6 | 2 | 4 | 451:464 | 8 |

### D ჯგუფი

ჰემოფარმი (იუგოსლავია) — რასინგი (საფრანგეთი) 80:72, ბეშიქთაში (თურქეთი) — რაანანა (ისრაელი) 81:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რაანანა | 6 | 4 | 2 | 399:348 | 10 |
| ჰემოფარმი | 6 | 3 | 3 | 436:452 | 9 |
| რასინგი | 6 | 3 | 3 | 378:388 | 9 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 4 | 463:468 | 8 |

### E ჯგუფი

მაკაბი (ირონი, ისრაელი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 87:80, პაოკ (საბერძნეთი) — აელ ლიმასოლი (კვიპროსი) 102:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 1 | 549:438 | 11 |
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | 468:474 | 10 |
| პაოკი | 6 | 3 | 3 | 464:444 | 9 |
| აელ ლიმასოლი | 6 | 0 | 6 | 475:600 | 6 |

### F ჯგუფი

ატომერომუ (უნგრეთი) — ბუიუქ კოლეჟი (თურქეთი) 82:71, ოპავა (ჩეხეთი) — ხიმკი (რუსეთი) 117:94

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოპავა | 6 | 5 | 1 | 560:510 | 11 |
| ატომერომუ | 6 | 4 | 2 | 513:489 | 10 |
| ხიმკი | 6 | 3 | 3 | 530:525 | 9 |
| ბუიუქ კოლეჟი | 6 | 0 | 6 | 459:538 | 6 |

### G ჯგუფი

ევრაზი (რუსეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი) 82:87, პივოვარნა (სლოვენია) — პროკომი (პოლონეთი) 86:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროკომი | 6 | 5 | 1 | 569:495 | 11 |
| პივოვარნა | 6 | 4 | 2 | 555:514 | 10 |
| მლეკანა | 6 | 3 | 3 | 560:565 | 9 |
| ევრაზი | 6 | 0 | 6 | 467:577 | 6 |

### მერვედფინალური წყვილები

ბაიერი — ნანსი
დიჟონი — რაანანა
მაკაბი — ოპავა
პივოვარნა — ავტოდორი
პორტო — ფუენლაბრადა
ჰემოფარმი — მარუსი
ატომეროში — ლოკომოტივი
კაპოშვარი — პროკომი

# ნაცარი იყო გოდრებით...

## უნგრელები 7X5-ზე გვეთამაშნენ და მაგრამაც გვჟეჟეს, ოხრავს დავით უგრეხელიძე

### H ჯგუფი

სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ავტოდორი (რუსეთი) 75:98

**კაპოშვარი 78:74 სლოვანი**

კაპოშვარი: ბენე (3), ბუკვა (7), ივკოვიჩი (18), ჯუნიჩი (29), ფილიპოვიჩი (2), შიმონი (10), ალისონი (3), შიკე (6)

სლოვანი: ტუკული, უდრიჰი (15), ზაგორაცი (7), ოზბოლტი (5), უგრეხელიძე (33 წუთი, 6 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 2 დაფარება), ტუღუში (8 წუთი, 7 ქულა), სლოკარი (11), ზაჩეტი (10), კოვაჩი (13)

ლიუბლიანის „სლოვანმა" ჩინებულად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ჯგუფური ეტაპი სარატოვში „ავტოდორის" ძლევით დაიწყო, რომელსაც ავსტრიული „სენტ პიოლტენი" და უნგრული „კაპოშვარი" მიაყოლა და პირველი წრის შემდეგ ცხრილის თავში მოექცა, მაგრამ...

მონასტერი მაშინ აირია, როცა ბალკანელები შინ „ავტოდორთან" შერცხვნენ. დავით უგრეხელიძეს ამ მატჩში ტრავმის გამო არ უთამაშია. ჩვენებური არც მომდევნო — გაცილებით სუსტ „სენტ პიოლტენთან" გამოჩენილა, რომელიც სლოვენიელებმა იოლად დაამარცხეს და გადამწყვეტი თამაშის ჯერიც დადგა. „კაპოშვარ" — „სლოვანის" მატჩის მომგები ჯგუფში მეორე ადგილს ინაღდებდა, თუ რა თქმა უნდა, სარატოველები მაჩანჩალა ავსტრიელებთან არ წააგებდნენ.

როგორც გამოჩნდა, უნგრელებმა „სლოვანთან" პირველ მარცხს სწორი ანალიზი გაუკეთეს. უპირველს ამოცანად მეფარეების — უგრეხელიძისა და ზაჩეტის გაუვნებელება დაისახეს. ამის მისაღწევად მასპინძლები ზღვარგადასულ უხეშობასაც არ ერიდებოდნენ. უნგრელთა უშსგავსობამ პიკს მესამე მეოთხედში უწია, როცა წაგების საფრთხის წინაშე დადგნენ. მანამდე კი, განსაკუთრებით პირველ ათწუთეულში, სტუმრებს იოლად უმკლავდებოდნენ.

ჯუნიჩ-ივკოვიჩის დუეტი საათივით იყო აწყობილი. ისინი მორიგეობით ბომბავდნენ მეტოქის ფარს. უგრეხელიძე ფარიდან ასხლეტილ ბურთებს კი ეპატრონებოდა, მაგრამ მეტისთვის ძალა აღარ ჰყოფნიდა. „კაპოშვარის" ცენტრები — ხეიო ბუკვა და სტოიან ივკოვიჩი ჩინებულად ავსებდნენ ერთურთს, რითაც ქართველს ერთობ ბოჭავდნენ.

მეორე მეოთხედი ლიუბლიანელებმა 15-ქულიანი ჩამორჩენით განაახლეს. სამო უდრიჰმა და კოვაჩმა სწრაფი გარღვევებით საქმე გამოასწორეს. ინიციატივა სტუმრებმა მოიპოვეს, უგრეხელიძე კი კვლავ ვერ ახერხებდა მეტოქის კალათის გასაღების პოვნას. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 44:34 მოიგეს.

შესვენების შემდეგ „სლოვანი" გამოცოცხლდა. ქართველი ცენტრი ქულებს ვერ იხვეჭდა, მაგრამ სხვა მხრივ არცთუ ურიგოდ ირჯებოდა — ხუთჯერ ჩაჭრა ბურთი, თერთმეტჯერ მოხსნა და ორჯერ დააფარა. ნელ-ნელა კაპოშვარელთა უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა და მათაც ბინძურ თამაშს მიჰყვეს ხელი.

— „ყველაზე გასაოცარი მსაჯთა მოქმედებაა. ისინი კარგად ხედავდნენ უნგრელთა უხეშობას, მაგრამ განზრახ თვალს ხუჭავდნენ. ასეთ ბინძურ თამაშში ჯერ არ მიმიღია მონაწილეობა. მეტოქე ყველა ხერხს მიმართავდა ჩვენს გასაჩერებლად. როცა მასპინძლებმა ძალიან გაუტიეს, მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი მატჩის კომისარს მიეჭრა, რითაც მხოლოდ ტექნიკურ ჯარიმას გამორჩა. არ მინდა, თავი გავიმართლო, მაგრამ აშკარად ჩანდა მიკერძოება. სამო ოზბოლტს ცხვირი, ანდრეი ტაკელს კი ნეკნი გაუტეხეს და მსაჯს არავინ გაუძევებია. ამით აღშფოთებულმა მაჰორიჩმა კი ტექნიკური მეორეჯერ მიიღო — ჩვენთან საუბარში წყენას ვერ მალავდა დავით უგრეხელიძე.

უკანასკნელი მეოთხედიც სტუმართა უპირატესობით გაგრძელდა. უნგრელები კბილებით ინარჩუნებდნენ მცირე უპირატესობას. დროსთან ერთად სხვაობაც ილეოდა და ბოლო წუთზე ლიუბლიანელებს გამარჯვების ჩინებული შანსი მიეცათ. მასპინძლები ქულას იგებდნენ, როცა მათ შეტევა გააფუჭეს. ორი სლოვანელი ორ კაპოშვარელთან პირისპირ დარჩა. სამო უდრიჰმა თანაგუნდელს ზუსტი პასი ვერ მიაწოდა, სლოვენიელთა ჯგუფიდან გასვლასაც აქ დაესვა წერტილი.

მატჩის შემდეგ გაოგნებულ და თვალებში ნაცარშეყრილ ტომო მაჰორიჩს ესღა აღმოხდა — „ხუთი მოთამაშით შეიძლება ვერავინ გაუმკლავდება. ეს ვერც ჩვენ შევძელით."

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავტოდორი | 6 | 4 | 2 | 564:487 | 10 |
| კაპოშვარი | 6 | 4 | 2 | 531:483 | 10 |
| სლოვანი | 6 | 4 | 2 | 478:466 | 10 |
| სენტ პიოლტენი | 6 | 0 | 6 | 460:597 | 6 |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# საშაკილო და საშაყირო თავი გაბიათ

## მაიკლ ჯორდანი საკუთარი თავის ქელეხზე დასვეს

**16 იანვარი**

**ლეიკერსი 96:102 მაიამი**

ლეიკერსი: ფიშერი (17), ბრაიანტი (29), ფოქსი (11), მედვენი (4), უოლკერი (14); ჯორჯი (13), ჰორი (3), შანტერი (3), რიჩმონდი (2), მედვედენკო, შოუ

მაიამი: სტრიკლენდი (14), ჯონსი (10), გრანტი (6), გრანტი (4), მურნინგი (28); ჯეკსონი (19), პოუსი (10), ელისი (9), სტეფანია (11 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

უძლეო ქვეყანაში კატები ყეფდნენ, ლაღადებს ერთი ანდაზა.

შაკილ ონილის არყოფნაში გასჭირვებია მძლეთამძლე „ლეიკერსს". ეულად დარჩენილი კობი ბრაიანტი უილტ ჩემბერლენი არაა, ყოველ მატჩში ნახევარი ასეული ქულა შეაგროვოს. 56-ქულიანი თამაშის შემდეგ იგი 29-ით შემოიფარგლა, მისი, კბილებჩაცვენილი „ლეიკერსი" კი ისედაც უკბილო „მაიამიმ" გადაყლაპა. „ლეიკერსმა" შეკრა წრე, წააგო რა მეოთხე დივიზიონის ქვემძრომთანაც (მოგვიტევოს ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა).

ჩემპიონთა ჩემპიონის მარცხის ერთადერთ მიზეზად შაკილ ონილის არყოფნის დასახელება პატ რაილის შეგირდთა საქებარი გარჯისა და მონდომების დაუნახაობა იქნება. ისინი მხოლოდ ქებას იმსახურებენ.

შეხვედრამ არაერთი ძველი ნაცნობმოქიშპე გადაჰყარა ერთმანეთს. ეს მატჩი ნბა-ს ისტორიაში სამი უსახელოვანესი მწვრთნელიდან ორის ხანგრძლივი ომის ერთ-ერთი ბრძოლა გახლდათ. იყო დრო, პატ რაილი „ლეიკერსს" წვრთნიდა და ფილ ჯეკსონის „ჩიკაგოს" ეტოქებოდა. ახლა პატ მასწავლებელმა მის მიერ ოთხჯერ გაჩემპიონებულ, აწ კი ჯეკსონისთავიან „ლეიკერსს" მაიამელები მიუსია.

ერთმანეთს „წაეკიდნენ" სხვა ნაცნობებიც — კობი ბრაიანტი და ედი ჯონსი. ახლა „მაიამის" ლიდერად კურთხეული ჯონსი ერთ დროს „ლეიკერსისთვის" ილვწოდა. პირტიტველა, ასე 17-18 წლის კობი კი მისი სათადარიგო გახლდათ, სანამ ნბა-ში თამაშის საიდუმლოებებს ეზიარებოდა. ასე, 1999 წლისთვის ბრაიანტი წამოიჩიტა და ჯონსს ისღა დარჩენოდა, სხვაგან მიმავალი მატარებლის ბილეთზე ეზრუნა. ჯონსი რომ კობის ფეხის მტვერია, ერთხელაც გამოჩნდა, მაგრამ ლეიკერსელთა სამწუხაროდ, მატჩის ბედი არა ჯონს-ბრაიანტის დუელმა, არამედ ავადმყოფი კაცის მოწადინებამ გადაწყვიტა. თირკმელმტკივანმა ალონზო მურნინგმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და თავისიანებს სახელოვანი გამარჯვება მოუტანა.

შერცხვენილი მასპინძლები სიმპათიურად განეწყვნენ მძლეველის მიმართ. „მაიამი" ცუდ გუნდებში საუკეთესოა, შეხედეთ მას კარგად. ამ ბიჭების ადგილი ცხრილში რამდენიმე საფეხურით მაღლაა" — თქვა მურნინგის ვერგამჩერებელმა სამაკი უოლკერმა.

ხოლო როცა კობი ბრაიანტმა გაიგო, რომ „მაიამი" სეზონში პირველად ასცდა 100-ქულიან ზღვარს, თქვა, ქუდი მოვუხადოთ ამ ყოჩაღ ყმაწვილებსო. ცოდვა გამხელილი სჯობს და ვთქვათ, რომ ვოვა სტეფანიას გუნდი მთელს ნბა-ში ყველაზე უვარგისია შეტევაში. სეზონის პირველმა 35 თამაშმა ისე განვლო, ერთხელაც ვერ გამოსტაცა მეტოქეს ასი ქულა და ეს ახლაღა, 36-ეში მოახერხა, რითაც თურმე ნბა-ს ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა.

მაიამელთ საამაყოდ ექნებათ ისიც, რომ „ლეიკერსს" პირველ მეოთხედში 39 ქულა (გუნდის სეზონური რეკორდი) ჩაუგდეს. გარდა ამისა, მეტოქეს ერთხანს პირველ ტაიმში 24 ქულას უგებდნენ, ასეთი რამ კი ჩემპიონისთვის არავის უკადრებია. სათქმელია ისიც, რომ „მაიამი" მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე 90:96 აგებდა და დარჩენილი დრო 12:0 მოუგო ზემძლავრ მოწინააღმდეგეს.

**ნიუ ჯერსი 111:67 ვაშინგტონი**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (27)
ვაშინგტონი: სიმონსი (12), ჯორდანი (10)

**ტორონტო 109:103 ჰიუსტონი**

ტორონტო: კარტერი (29), უილიამსი (21)
ჰიუსტონი: ნორისი (28), მობლი (22), გრიფინი (20)

**მილუოკი 105:100 ინდიანა**

მილუოკი: ალენი (36), კასელი (20)
ინდიანა: მილერი (27)

**ბოსტონი 101:100 ნიუ იორკი**

ბოსტონი: პირსი (30), ბაითი (20)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (28)

**დენვერი 107:112 საკრამენტო**

დენვერი: ლაფრენცი (30), ჯონსონი (23)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29), ვებერი (21 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), კრისტი (21 ქულა, 7 ჩაჭრა)

**ფინიქსი 99:108 პორტლენდი**

ფინიქსი: მარბერი (29)
პორტლენდი: ვოლესი (19)

**იუტა 95:80 სიეტლი**

იუტა: კოლინზი (22)
სიეტლი: პეიტონი (21)

**გოლდენ სტეიტი 117:88 კლივლენდი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (20)
კლივლენდი: მიმი (20)

„ნიუ ჯერსისთან" შეტაკებამდე ერთი დღით ადრე „სან ანტონიოსთან" 91:96 წაგებული მატჩის შემდეგ ჯორდანმა აღიარა, ჩავისვარეო. საინტერესოა, „ნიუ ჯერსისთან" თამაშის (თუ ცოდვილობის) შემდეგ საკუთარ თავს როგორღა შეაფასებდა? ჯორდანმა ამჯერად თავი შეიკავა თვითმვლანძღველი ზმნა-ეპითეტების წარმოთქმისაგან და ესღა თქვა: „ეს ჩვენთვის (უნდა ეთქვა, ჩემთვის) დიდი გაკვეთილი იქნება".

მაიკლ ჯორდანი ასე არასდროს შერცხვენილა, მაიკლ ჯორდანის გუნდს ასე არასდროს წაუგია. ის ვიკითხოთ, რა საერთო ჰქონდა პირველ ტაიმში ორ ფარს შორის მოხეტიალე, მეორეში კი სკამზე მჯდარ და თავჩაქინდრულ ბერიკაცს დიად მაიკლ ჯორდანთან?

იქნებ ყველაფერი ყოფილი ცოლის, ხუანიტას ბრალია, სწორედ იმ ხუანიტასი, 13 წელი სიყვარულს რომ ეფიცებოდა, ახლა კი ეყრება და ქონების ნახევარს (ოპოპო!) სთხოვს?

„ვაშინგტონის" 23-ნომრა მაისურით მორბენალი კაცი იმ საღამოს ერთადერთხელ დაემსგავსა მაიკლ ჯორდანს. ეს მოხდა პირველი მეოთხედის ბოლოსკენ, როცა მან მასპინძელთა ცენტრს ტოდ მაკკალოფს დაუფარა. მანამდე კი ნიუჯერსელებმა ჩააგდეს ექვსი ბურთი ნახტომში (ორი სამქულიანი), ოთხი ფარქვეშიდან, ორი კაუჭი, ხუთი საჯარიმო... ჯორდანის დაფარებამდე კენიონ მარტინმა მაიკლს სასწაული ბურთი გადაატენა თავზე, დაფარების შემდეგ კი კიდევ ერთმა მასპინძელმა, კიტ ვან ჰორნმა, სამქულიანით 36:10(!) გახადა ანგარიში. ჯორდანიანები ვერც მეორე მეოთხედში გამოფხიზლდნენ და მასპინძლებმა საოცარი შემართებით გააგრძელეს მათი მუსვრა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე, ტაბლო 72:31(!) უჩვენებდა. მასპინძლებმა ტაიმი ოცი ათასი ქომაგის ტაშის გრიალის თანხლებით ჩაამთავრეს.

საერთოდ „ნიუ ჯერსი" ნბა-ში ყველაზე ცუდ დასწრებას უჩივის, ოციათასიან და ნახევრადცარიელ დარბაზში ატარებს შინაურ მატჩებს. ნიუჯერსელებს ერთი კერპი ჰყავთ, მაიკლ ჯორდანი. ახლა მათ საკუთარი ქალაქის (უბნის) გუნდი ეყოლებათ საქომაგოდ. 16 იანვარს დარბაზი სეზონში პირველად გაივსო. „ხალხი ჯორდანის სანახავად მივიდა, მათ იხილეს კიდეც ჯორდანი" — იხუმრა „ნიუ ჯერსის" თავკაცმა ბაირონ სკოტმა.

კალათბურთის შერცხვენილ მეფეს არც ჟურნალისტებმა დააკლეს ხელი. ერთ-ერთმა ენაკვიმატმა მეკალმემ დაწერა, ეს კაცი კიდევ ჩაატარებს 40-50 ქულიან თამაშებს, მაგრამ დღეს საკუთარი თავის გასვენებას დაგვასწროო.

**ირაკლი ფირცხალავა**



ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი. მაიკლ ჯორდანის გაწბილებას გამარჯვებული მასპინძლები კენიონ მარტინი და ჯეისონ კიდი (ზევით) ხარობენ

# ოზები და ნაოზრები

## კაცების მეტი რა არის!




REUTERS მელბურნიდან

კურნიკოვა-ჰინგისის კოხტა დუეტი მელბურნშიც თვალს ახარებს

**მეორე წრე**

**ვაჟები**

**როჯერ ფედერერი** (11, შვეიცარია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:2, 7:5, 6:4; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — კარლოს მოია (17, ესპანეთი) 3:6, 6:7 (4:7), 6:4, 7:6 (7:5), 6:2; **პიტ სამპრასი** (8, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3, 7:5, 3:6, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — ენდი როდიკი (13, აშშ) 7:6 (13:11), 3:2 (ტრავმა); **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:4, 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:3, 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — მერდი ფიში (აშშ) 6:4, 6:3, 6:2; **ტოდ მარტინი** (აშშ) — ქსავიე მალისი (29, ბელგია) 6:3, 6:2, 6:2; **ნიკოლა ესკუდე** (30, საფრანგეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 2:6, 2:6, 6:4, 7:5, 6:4; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — არნო კლემანი (15, საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:2, 7:6 (7:3); **მარატ საფინი** (9, რუსეთი) — კრისტოფ როკუსი (ბელგია) 6:2, 7:6 (8:6), 6:4; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 7:5, 6:2; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 6:7 (5:7), 7:6 (7:2), 7:5, 6:3; **ტომი ჰაასი** (7, გერმანია) — ჟან ფრანსუა ბაშელო (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (23, ეკვადორი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:2, 6:3; **ანდრეი პაველი** (25, რუმინეთი) — ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) 6:4, 4:0 (ტრავმა)

**ქალები**

**ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:3; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ჟუსტინ ენენი** (6, ბელგია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:4; **მონიკა სელეში** (10, აშშ) — ბრაიანე სტიუარტი (ავსტრალია) 6:2, 6:0; **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:4, 6:2; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:4, 6:2; **ტამარინ ტანასუგარნი** (26, ტაილანდი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 2:6, 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუჩოვა** (სლოვაკეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 6:3; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:5, 6:3; **იროდა ტულიაგანოვა** (16, უზბეკეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:4, 6:4; **აი სუგიამა** (24, იაპონია) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:6 (7:2), 6:0; **მაგუი სერნა** (23, ესპანეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:3, 6:3; **სინდი უოტსონი** (ავსტრალია) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 3:6, 7:5, 6:2; **ელენა დემენტიევა** (12, რუსეთი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 6:2; **რიტა გრანდე** (220, იტალია) — კრისტი ბოოგერტი (ჰოლანდია) 7:6 (7:4), 7:5; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ტატიანა პანოვა (29, რუსეთი) 6:2, 4:6, 6:0

მუხთალმა ტრავმამ კიდევ ერთხელ შეაფერხა ახალგაზრდა ენდი როდიკის პერსპექტიული წინსვლა ჩოგბურთში. მეორე შემთხვევაა, „დიდი სლემის“ ტურნირზე ლომივით მებრძოლ ამერიკელს ორგანიზმი რომ აუჯანყდა და თამაში აუკრძალა. ეს ჯერ 8 თვის წინ მოხდა, „როლან გაროსის“ მესამე წრეში ლეიტონ ჰიუიტთან მატჩისას, გუშინ კი მელბურნში, ავსტრალიის ღია პირველობაზე.

როდიკი უშნოდ წაიქცა. წამოდგა თუ არა, უმალვე შეეტყო, რომ მის თავს კარგი ამბავი ვერ იყო. ცდილობდა, ებრძოლა, პირველი სეტი კინაღამ მოუგო ხორვატ ივან ლუბიჩიჩს, მხოლოდ ტაიბრეიკი დათმო 24(!) გათამაშების შემდეგ. მეორე სეტის 2:3-ზე როდიკმა ფარ-ხმალი დაყარა, მეტოქეს რაინდულად ჩამოართვა ხელი და კორტი კოჭამშკრალმა დატოვა.

„წელში ამომივიდა ტრავმები — თქვა როდიკმა პრესკონფერენციაზე — ტერფის ტკივილი გუშინდამ ვიგრძენი, გავიჭყიპე ადრენალინით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბევრი ვაკეთე, რათა ტრავმებისგან თავი დამეცვა, მაგრამ ტერფი ოხერია, მის გაკონტროლებას ვერ ვახერხებ“.

ეს გახლდათ ენდი როდიკის ნაღვლიანი ისტორია, იგი შტატებში დაბრუნებას აპირებს, ჩვენ კი „მელბურნ პარკზე“ დავრჩით, სადაც სენსაციათა მეცხრე ტალღამ გადაიარა და გუშინდელი დღე მხოლოდ მომცრო მოულოდნელობებით აღინიშნა, რაც ნებისმიერ ტურნირს ახლავს. გავარდა კიდევ ერთი განთესილი, მე-15 ნომერი არნო კლემანი საფრანგეთიდან. იგი 4 სეტში დაამარცხა არგენტინელმა გასტონ გაუდიომ. კლემანი შარშან „ავსტრალიან ოუფენის“ ფინალისტი იყო, სადაც ანდრე აგასიმ მოუგო. ისტორია არ განმეორდება, აგასი მელბურნში თავიდანვე არ ყოფილა და ახლა კლემანიც ოუტში მოისროლეს.

დიახ, ისტორია ხშირად არ მეორდება, იგი სიახლეს მუდამ შეიცავს და ერთი მათგანი კი ისეთია, 97 წელი (ავსტრალიის ღია პირველობის ასაკი) რომ არ მომხდარა — ხუთი საუკეთესო განთესილი მესამე წრეში ვერ გავიდა. ბოლო დღეებია, სულ მათი გვარები იხსენიება და ერთხელაც დავაჯგუფოთ — ლეიტონ ჰიუიტი, გუსტავო კუერტენი, ანდრე აგასი, სებასტიენ გროჟანი, ევგენი კაფელნიკოვი, ამათ პლუს გორან ივანიშევიჩი და ტურნირის ორგანიზატორთა შფოთვა ნორმალურად უნდა ალვიქვათ: „მელბურნ პარკის“ ცენტრალურ კორტზე მისული 15 ათასი კაციდან ნახევარს მაინც დიდი ჩოგბურთი კი არა, ნახსენები ხალხის ყურება უფრო აინტერესებს. ანუ მათი გავარდნა მაყურებელს შეამცირებს, ანუ ოხრად დარჩება ბევრი ბილეთი, ანუ ცოტა გაიყიდება ქუდები, მაისურები და სხვა მსგავსი წვრილმანი. მოკლედ, მასპინძლებს თითქოს ნერვიულობა მართებთ, მაგრამ არა — ირკვევა, რომ წლევანდელი დასწრება მელბურნში სარეკორდოა, რასაც ტურნირის სპიკერმენი ჯონ ლინდსი შემდეგნაირად განმარტავს: „მოწინავე განთესილები გავარდნენ, მაგრამ 32-დან 15 ჯერ კიდევ დარჩა, ქალებშიც 10 მოწინავე განთესილიდან 8 თამაშს აგრძელებს, ამიტომ მაყურებელთა ინტერესი სასურველ დონეზე დარჩა“.

განმარტებას იძლევა მარატ საფინიც, თემით იდენტურ და შინაარსით განსხვავებულ კითხვაზე: რატომ გავარდნენ უმთავრესები? საფინს იმ კანონზომიერებისთვის მიუგნია, რომ დამარცხებული ელიტა ერთი თვის წინ მელბურნშივე, „მასტერს კაპზე“ თამაშობდა და უბრალოდ, დრო არ ჰყო ახალი სეზონის შესახვედრად, ხოლო ისინი, ვინც დასვენება მოასწრო, ახლა იგებენ და იგებენ, მაგალითად, თვითონ. მეორე წრეში საფინმა 3 სეტი იკმარა კრისტოფ როკუსის დასამარცხებლად, მეტოქეს 13 ეისი ჩაუგდო და გაუჭირდა მხოლოდ შუათანა სეტში, სადაც როკუსი 4 სეტპოინტით დაწინაურდა და ამხელა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. საფინის თამაში ყურადღებას იპყრობს მაქსიმალიზმით: რუსმა ჯერ ერთი სეტიც არ დათმო. მოვლენათა ნორმალური განვითარებისას საფინს მალე პიტ სამპრასთან თამაში მოუწევს, რომელზეც დიდი პატივისცემით საუბრობს: „ყველამ იცის, რომ პიტი უდიდესი ჩოგბურთელია და მისი თამაში აღტაცებას იმსახურებს. სამპრასის წინააღმდეგ ყოველ წამს მობილიზებული უნდა იყო, თუ არა, გადაგივლის“. მართლაც, „დიდი სლემის“ 13 ტიტულის მფლობელმა გუშინ ხუან იგნასიო ჩელას გადაუარა, თუმცა არცთუ იოლად, ჩელამ ერთი სეტის მოგება შეძლო.

ეს ტიტული ჩოგბურთში იქნებ ცოტას ნიშნავდეს, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა ტომი ჰაასმაც გააღწია შემდეგ წრეში, თუმცა რაღა გააღწია, ცალი ხელით აუგო წესი ფრანგ მეტოქეს საათზე ცოტა მეტ ხანში.

ჟუსტინ ენენმა მარტა მარეროს თავისი განთქმული ბეკჰენდით მოუგო, ხოლო ვინუს უილიამსის შესახებ მოგახსენებთ, რომ მარცხენა მუხლს იტკიებდა, მაგრამ საშიში არაფერი ყოფილა. უილიამსი გაესინჯა ექიმებს და მათ თამაშისკენ მოუწოდეს. ვინუსის მომდევნო მეტოქე სლოვაკი დანიელა ჰანტუჩოვა იქნება. უილიამსების კლანი ავსტრალიის ღია პირველობაზე დიდი გამარჯვებებით ვერ დაიკვეხნის, ვინუსმა და სერენამ წყვილების შეჯიბრი მხოლოდ ერთხელ მოიგეს, წლეულს კი უმცროსი საერთოდ არ თამაშობს.

**დავით გულუა**



REUTERS მელბურნიდან

კიმ კლაისტერსი




ენდი როდიკი ტრავმამ ზედ კორტზე დასცა

## ამბავ-ხაბარი

# მოდი, დამაწერე რამე

### ჩემს უკან(ალზე) ჩემი ქვეყანაა

**ტიმ ჰენმანის** აქციები მელბურნში დღითიდღე მცირდება. თითქოს დიდი სენსაცია არ იქნება, ბრიტანელმა რომელიმე წრეში რომ წააგოს, თუნდაც გრეგ რუზედსკისთან, მაგრამ საუკეთესო ჩოგბურთელთა გავარდნის შემდეგ პრესასა და ფანებში ჰენმანის ბუმია. ყველა ელის, რომ ჩემპიონი სწორედ იგი გახდება, თითქოს პიტ სამპრასი, მარატ საფინი და სხვები არც არსებობდნენ.

გარეგნულად ჰენმანი ისეთია, როგორსაც ინგლისელები „ჰენდსომ მენს“ უწოდებენ, ჩოგანს ხომ მარჯვედ იქნევს და იქნევს, ტელევიზორში ყოველ წუთსაა და რა გასაკვირია, რომ ბრიტანელს ფანების მთელი ჯგრო დასდევს ავტოგრაფებისთვის. ჰენმანის ფაქსიმილე აღიბეჭდება ხოლმე ნაირნაირ ნივთებზე, მაგრამ არა უკანალზე, როგორც ეს მავანმა (გვარი არ გაცხადებულა) მანდილოსანმა გუშინ მოინდომა.

უფრო ზუსტად, იმ მანდილოსანმა ბიკინით შემოსილი თავისი უკანა მხარე მიუშვირა ჩოგბურთელს (რომელსაც მაშინ ეს-ესაა ვლადიმირ ვოლჩკოვი დაემარცხებინა) და ავტოგრაფი სთხოვა. ბიკინის გარეგნული მხარე ისედაც მიმზიდველი იყო. წინა მხარეს მის დიზაინერებს გამოესახათ ბრიტანეთის დროშა „იუნიონ ჯეკი“, უკან ჩანდა პლაკატი: „დაწექი ზურგზე და იფიქრე ინგლისზე“. თქმა არ უნდა, ჰენმანის ხელმოწერა ამგვარ ლოზუნგს უაღრეს იდეოლოგიურ ძალას და მიმზიდველობას შესძენდა, მაგრამ ჩოგბურთელს იმ მომენტში პატრიოტულ ვალზე სწორედ არ უფიქრია — ორი წლის წინ ცოლი შეირთო და უნდოდა ახლა სკანდალი? ამიტომ ბრიტანელმა ჯენტლმენის ღირსებით აიცილა მისკენ მიშვერილი ორგანო და ავტოგრაფი არ გასცა.

„ყოფილა, ვილაცის წინა მხარეს წამიწერია — თქვა ჰენმანმა ხალხის გასაგონად — მაგრამ უკან? არა, ბატონო, თავი დამანებეთ!“

# რას მიედ-მოედებით, დიდო დედაო?!

**ხუთშაბათს** ჩოგბურთის დიდების დარბაზში ორი პიროვნება ჩარიცხეს: შვედი მატს ვილანდერი და ამერიკის ღია პირველობის ყოფილი ფინალისტი პემ შრაივერი. ითქვა სეფესიტყვები („მადლობა ყველას, ვინც...“, „ჩემზე დაკისრებული მისია...“ და ასე შემდეგ), ხოლო შრაივერს სიტყვა ცოტა კიდეც გაუგრძელდა, რადგან ქალთა ჩოგბურთში დამკვიდრებულ, მისი აზრით, მავნე ტენდენციებსაც შეეხო.

კერძოდ, შრაივერმა გააკრიტიკა თანამედროვე ქალები ჩოგბურთის წარმოჩენის საქმეში ინერტულობისთვის. მისი აზრით, დღევანდელ ქალებს მარტო საპრიზოები აინტერესებთ და არა სპორტის ამ სახეობის გლობალური წინსვლა.

„ისინი ბევრს იღებენ, შეიძლება ითქვას, ზედმეტსაც — თქვა მკაცრად დიდების დარბაზის წევრმა — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ ახლო წარსულში ქალთა ჩოგბურთს მძიმე ხანა ედგა და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ჩოგბურთი მარტო ბურთისცემა არ არის“.

ვინ დაეთანხმებოდა ამ ავტორიტეტის აზრს, რომელიც მელბურნში გამოითქვა? იქვე გახლავთ მოქმედი თაობა, რომელმაც ვეტერანის კრიტიკა ოდნავაც არ მიიღო. მსოფლიოს მე-4 ჩოგანი კიმ კლაისტერსი მიიჩნევს, რომ, დიახაც, ქალთა ჩოგბურთს ედგა მძიმე დროება, ახლა კი სხვაგვარადაა და ეს ამ თაობის დამსახურებაა.

„რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი საქმეა თამაში, მაგრამ ჩვენვე ვხსნით ბავშვთა კლინიკებს, ვარიგებთ უთვალავ ავტოგრაფს, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს და ამიტომ ქალთა ჩოგბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება“.

ხმა გაისმა საჩოგბურთო პერიფერიიდანაც. იაპონელმა აი სუგიამამ ასევე დაიწუნა ვეტერანის გამოთქმული აზრი და შენიშნა, რომ სწორედ დღეს (და არა გუშინ) იძენს პოპულარობას ჩოგბურთი ახალ რეგიონებში, როგორიცაა, მაგალითად, აზია.

„ჩემი აზრით, ქალთა ჩოგბურთი უკეთესი და უკეთესი ხდება — მიჰბაძა სუგიამამ კლაისტერსს — არ მრცხვენია იმის თქმის, რომ ვეცადე, ჩემს ქვეყანაში ჩოგბურთი წარმომეჩინა და არცთუ უშედეგოდ“.

ახალი თაობის საერთო აზრით, ჩოგბურთის პოპულარიზება მარტო მოქმედ მოთამაშეთა საქმე არ არის.

პარლამენტის ბიბლიოთეკა






# რუსლანი არ გაიჭყლიტა

**ბრძოლდება** ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატი უკრაინის ორ მოქალაქეს შორის, მაგრამ ამ ბრძოლას მთლად ღერბი ვერ დაერქმევა: ივანჩუკი და პონომარიოვი მაინც ორ სხვადასხვა ბანაკს წარმოადგენენ. პირველი ლვოველია და თავისუფლების მოყვარულ დასავლეთ უკრაინელად გვეჩვენება, მეორის გვარი კი რის უკრაინულია, კრამატორსკის რუსული დიასპორა, დონბასის პროლეტარიატი და მისი ჯანი... მხარდამჭერას პონომარიოვი უფრო გრძნობს, მწვრთნელად ხომ განთქმული გენადი კუზმინი ჰყავს და ფინალის წინ თვით ვესელინ ტოპალოვის რჩევებითაც მარაგდება. პონომარიოვისგან პირველი პარტიის მოგება იქნება ამ ფაქტორით აიხსნას, თუმცა ის პარტია უფრო ივანჩუკმა წააგო, ვიდრე პონომარიოვმა მოიგო. თინეიჯერმა ეს ალიარა კიდეც პრესკონფერენციაზე, სადაც გამარჯვებისთანავე გააქანეს (ივანჩუკი არ მისულა). პრესკონფერენციას წარმართავდა ჟურნალ „64 — შახმატნოე ობოზრენიეს" რედაქტორი ალექსანდრ როშალი და დამსწრეთა აზრით, პონომარიოვს ყველაზე საინტერესო კითხვით ზურაბ აზმაიფარაშვილმა მიმართა. აზმაიფარაშვილის დაკვირვებით, თურმე ივანჩუკი ჩქარა თამაშობს მაშინ, როცა იგებს ან აგებს. პირველ პარტიაში კი სიჩქარე მართლაც გასაკვირი იყო: ივანჩუკი რომ ღანებდა, საათნახევრიდან 40 წუთი ჰქონდა მარაგში. ამის მიხედვით თუ მიხვდით, პარტიას რომ იგებდითო, იკითხა აზმაიფარაშვილმა. პონომარიოვმა მიუგო, მეტოქის ამ თვისებას ჯერ არცთუ სრულად ვიცნობო.

მეორე პარტიაში ივანჩუკი შოკიდან გამოსულს ჰგავდა, მხნედ დაცხო მეტოქეს თეთრი ფიგურებით, პოზიციურად აჯობა, მერე ფიგურა მოიგო, მაგრამ გოლი ვერაფრით შეაგდო. პუნქტუალური სვლებით პონომარიოვმა ნახევარი ქულა დაიმსახურა და პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა, რადგან მისივე სიტყვებით, თეთრებით გამარჯვებისთვის ითამაშებს, შავებით ყაიმიც ყელამდე ეყოფა.

**დავით გულუა**



რუსლან პონომარიოვი პრესკონფერენციაზე მარტო გამოცხადდა



# რუსებს ყინული სისხლში აქვთ



REUTERS

ტატიანა ტოტმიანინა და მაქსიმ მარინინი

**ტრადიცია** წარმატებით გრძელდება — 1996 წლიდან ფიგურული ციგურაობის ევროპირველობებზე არ ყოფილა შემთხვევა, წყვილთა ოქროს მედალი რუსების კისერზე არ ჩამოეკიდოთ. წლეულს ეს პატივი ტატიანა ტოტმიანინასა და მაქსიმ მარინინს ერგოთ, რომლებმაც პოდიუმი ოლიმპიურ ქალაქ ლოზანაში დაიპყრეს. შარშან მათ ადგილას რუსეთისავე მოქალაქეთა, ოღონდ ეთნიკურად არეული ჯგუფი იდგა: რუსი ელენა ბერეჟნაია და ქართველი ანტონ სიხარულიძე, მაგრამ ისინი წლეულს საერთოდ არ სრიალებენ, ბერეჟნაიას წვივი უტკივა და შემინებია, ემანდ ოლიმპიადისთვის თავს არაფერი მოუვიდოო, ამიტომ დაისვენეს. ტოტმიანინა-მარინინის ღუეტმა მერყევად დაიწყო, ვაჟი პირველსავე ნახტომზე შეცდა, მაგრამ ეს იყო და ეს. ბოლოს ხუთი მსაჯიდან 5,8 ქულა მიიღეს და ერთმა სულაც 5,9 დაუწერა. არარუსებმა სხვა რუსების მორევითლა გაიხარეს: მეორე ადგილზე ფრანგები გავიდნენ, სარა აბიტოლი და სტეფან ბერნადისი, მერე კი მარია ტიხონოვა და ალექსეი ტიხონოვი განთავსდნენ.

ტოტმიანოვა პრესკონფერენციაზე არ იყო, მარინინმა კი თქვა, დღეს სრულყოფილად ვერ ვისრიალეთ, რაც იმის ბრალია, რომ ჩემი პარტნიორი ვერ იყო კარგადო. ფრანგმა ბერნადისმა მხოლოდ ხელები გაშალა: „კმაყოფილების მეტს ვერაფერს გამოვთქვამ მეორე ადგილზე გასვლით. რუსებს პირველობას ეშმაკი თუ წაართმევს. დღეს ერთნი იგებენ, ხვალ სხვები, ოღონდ მარტო რუსები. ფიგურულად სრიალი ამ ხალხს სისხლში აქვს".

ერთეულებში ჯგუფური ტურნირები გრძელდება. საყურადღებო იყო მოქმედი ჩემპიონის, ირინა სლუცკაიას შეცდომა, რომელიც ავტორმა დროზე გამოასწორა და რიგიანი ქულები დაიმსახურა. ის თავის ჯგუფში ლიდერობს.



(877)
72 08 26

# იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი მისაღებით,
დიდი სამზარეულოთი და
ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს). კახა



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პანტერებმა ლოსის რქები გამოისხეს



REUTERS

ფლორიდელმა პოლ ლოსმა ძველი დამრტყმელი ბობ პრობერტი დაასისხლიანა

16 იანვარი

**კოლუმბუსი 2:0 რეინჯერსი 1:0 0:0 1:0**

1:0 რაიტი (18), 2:0 მარშალი (55)

რეინჯერსს კრიზისი გაუხანგრძლივდა. აუტსაიდერ კოლუმბუსთან ზედიზედ ორ მატჩში ნიუიორკელები ერთ ქულას დასჯერდნენ.

**ფლორიდა 0:3 ჩიკაგო 0:1 0:0 0:2**

0:1 მაუსლი (12), 0:2 დამნოვი (50), 0:3 ნიულანდერი (55)

საინტერესო გუნდია ეს ფლორიდა. რაც სათავეში მაიკ კინენი ჩაუდგა, „პანტერების" ყველა მატჩი გამორჩეული გახდა. თუ იგებენ, ამას ჯიგრიანად აკეთებენ, თუ აგებენ და მეტოქეს ცემატყეპას არ აკლებენ. ამჯერადაც, როგორც კი მატჩის ბედი გადაწყდა, ფლორიდელთა მთავარმა მოჩხუბარმა პოლ ლოსმა ოდესღაც ლიგის საუკეთესო პოლიციელად მიჩნეულ ბობ პრობერტს გაუმართა მუშტი-კრივი და ჩაასისხლიანა კიდეც. შემდეგ კი აარონ დაუნის შეერკინა და ჩაფხუტი სახეში ჩაარტყა.

**მონრეალი 2:0 ვაშინგტონი 0:0 2:0 0:0**

1:0 ბულისი (25), 2:0 ბრისბუა (31)

შეხვედრის წინ გამოქვეყნებულ „ოლ სტარის" მატჩის მონაწილეთა სიაში, მოულოდნელად, მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორის სახელიც აღმოჩნდა. გოლკიპერმა 28 მოგერიებით და საუცხოო თამაშით დაადასტურა, რომ მისი მიწვევა შემთხვევითი არ ყოფილა.

**დალასი 3:2 დეტროიტი 0:1 2:0 1:1**

0:1 დეველო (13), 1:1 ნეუნდაიკი (28), 2:1 დიმაიო (36), 3:1 ნეუნდაიკი (45), 3:2 დაციუკი (54)

ეტყობა, დალასი ერთადერთი გუნდია, ვისაც გაქანებული დეტროიტის შეჩერება ძალუძს. აგერ უკვე სეზონში მეორედ ტეხასელებმა მეტოქეს მომგებიანი სერია შეაწყვეტინეს.

**ანაჰაიმი 1:3 ბუფალო 0:0 1:2 0:1**

0:1 ვარადა (28), 0:2 კონოლი (32), 1:2 ლეკლერკი (37), 1:3 დიუმონი (60)

**ჩრდილო ატლანტიკური**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 46 | 25 | 3 | 5 | 13 | 132:107 | 58 |
| ტორონტო | 47 | 25 | 5 | 3 | 14 | 139:115 | 58 |
| ოტავა | 46 | 24 | 4 | 2 | 16 | 146:115 | 54 |
| მონრეალი | 47 | 19 | 6 | 2 | 20 | 120:128 | 46 |
| ბუფალო | 46 | 19 | 4 | 1 | 22 | 123:120 | 43 |

**ატლანტიკა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 45 | 27 | 5 | 1 | 12 | 142:102 | 60 |
| აილენდერსი | 45 | 23 | 5 | 2 | 15 | 124:120 | 53 |
| რეინჯერსი | 49 | 22 | 4 | 3 | 20 | 129:143 | 51 |
| ნიუ ჯერსი | 45 | 19 | 5 | 3 | 18 | 108:110 | 46 |
| პიტსბურგი | 45 | 16 | 5 | 2 | 22 | 96:127 | 39 |

**სამხრეთ ატლანტიკური**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 49 | 22 | 5 | 5 | 17 | 134:144 | 54 |
| ვაშინგტონი | 48 | 19 | 8 | 0 | 21 | 133:145 | 46 |
| ტამპა | 45 | 17 | 4 | 2 | 22 | 90:100 | 40 |
| ფლორიდა | 46 | 14 | 3 | 3 | 26 | 91:135 | 34 |
| ატლანტა | 47 | 11 | 6 | 3 | 27 | 110:169 | 31 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 47 | 32 | 4 | 2 | 9 | 149:104 | 70 |
| ჩიკაგო | 50 | 28 | 8 | 0 | 14 | 144:131 | 64 |
| სენტ ლუისი | 45 | 24 | 6 | 3 | 12 | 128:99 | 57 |
| ნეშვილი | 46 | 16 | 8 | 0 | 22 | 119:126 | 40 |
| კოლუმბუსი | 46 | 13 | 7 | 1 | 25 | 91:128 | 34 |

**ჩრდილო დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 47 | 24 | 6 | 1 | 16 | 116:96 | 55 |
| ედმონტონი | 49 | 23 | 7 | 2 | 17 | 127:117 | 55 |
| კალგარი | 46 | 19 | 8 | 2 | 17 | 112:117 | 48 |
| ვანკუვერი | 48 | 20 | 4 | 1 | 23 | 131:129 | 45 |
| მინესოტა | 47 | 16 | 8 | 3 | 20 | 115:137 | 43 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 45 | 23 | 6 | 3 | 13 | 133:109 | 55 |
| დალასი | 46 | 22 | 6 | 4 | 14 | 125:119 | 54 |
| ლოს ანჯელესი | 46 | 20 | 7 | 2 | 17 | 119:106 | 49 |
| ფინიქსი | 45 | 18 | 7 | 3 | 17 | 112:120 | 46 |
| ანაჰაიმი | 49 | 14 | 6 | 3 | 26 | 105:125 | 37 |

ყველა ვარსკვლავი ლოს ანჯელესი. 2-3 თებერვალი

# ეს ხომ შოუა

## ვარსკვლავები შეიყრებიან, ისრიალებენ, გაიტანენ, გაუშვებენ... ხალხიც ტაშს დაუკრავს

**2-3 თებერვალს** ლოს ანჯელესში გაიმართება მორიგი, 52-ე „ოლ სტარ უიქენდი", რომლის მთავარი ღონისძიება — თამაში მეორე დღეს ჩატარდება. მოგეხსენებათ, ევროპელთა შემოსევამ ნჰლ-ის კონსერვატორი მესვეურებიც აიძულა, ტვინი გაენძრიათ და აგერ, მეხუთე წელია, „ოლ სტარის" თამაშში ერთმანეთს არა კონფერენციების, არამედ ჩრდილო-ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ანუ ევროპის ნაკრებები ხვდებიან. ცხადია, წლეულს (ისევე, როგორც თამაშის ამ ვარიანტით ჩატარების პირველ წელს) „ოლ სტარი" განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან იგი ოლიმპიადის წინ გაიმართება და ამ ტურნირის ერთგვარი რეპეტიცია იქნება. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს მაინც შოუა, ხოლო ლეიკ სიტიში კი სულ სხვა ამბები დატრიალდება.

ტრადიციისამებრ, ლიგამ ჟიურის გამოკითხვა ჩაატარა გუნდების სასტარტო შემადგენლობის გამოსავლენად და უნდა ითქვას, რომ ამჯერად შედეგი ერთობ მოულოდნელი იყო.

დავიწყოთ მსოფლიოს ნაკრებით.

დეტროიტის შვედმა მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო 211 486, თუმცა ეს არც არის გასაკვირი. წინა სეზონში „ნორის ტროფით" დაჯილდოებული ნიკლასი ხომ წლეულსაც უმაღლეს დონეზე ასპარეზობს. იგი ზედიზედ მეოთხედ მოხვდა „ოლ სტარის" სასტარტო ექვსეულში. აი, სანდის ოზოლინშის ამ სიაში ხილვა კი მოულოდნელი იყო. კაროლინას ლატვიელი მცველი (116 143 ხმა) ვერაფრით გამოირჩევა და, როგორც გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, გუნდის მესვეურებმაც დაკარგეს მის მიმართ ნდობა, ფლორიდაში ახევე მცველ ბრეტ ჰედიკანზე გაცვალეს. აღსანიშნავია, რომ კოლორადოში ჩინებული კარიერის შემდეგ ოზოლინშმა კაროლინასთან 5-წლიანი და 25 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ მეორე სეზონშივე მიხვდნენ „ქარიშხლები", რომ ლატვიელი მათ გუნდს ვერ შეეგუა.

სასტარტო მეკარე ცხადია, დეტროიტელი დომინიკ ჰაშეკია (138 807 ხმა), რომელსაც კონკურენტი არ ჰყავდა. ბოლო ექვს „ოლ სტარში" იგი მეხუთედ მოხვდა სასტარტო სიაში.

ფორვარდის პოზიციაზე ჟიურიმ მისი თანაკლუბელი სერგეი ფიოდოროვი (113400) აირჩიეს, რომელმაც ოდნავ გაუსწრო ტორონტოელ მატს სუნდინს. ბედის ირონიით, ამჟამად ფიოდოროვი დეტროიტში მცველის (!) პოზიციაზე თამაშობს და, როგორც ამბობენ, სულაც არაა კმაყოფილი მწვრთნელ სკოტი ბოუმენის ამ ექსპერიმენტით.

გარემარბებში ორი პირველი ადგილი ვაშინგტონის ჩეხ იარომირ იაგრს და სანხოსელ ფინელ ტეემუ სელიანეს ერგოთ (შესაბამისად 131 011 და 138 665 ხმა). ორივე სუპერვარსკვლავმა არცთუ დიდი ხნის წინ გამოიცვალა გუნდი და ცოტა არ იყოს, ვერც იმედები გაამართლა. სელიანემ სულ ახლახან შეწყვიტა 10-გოლიანი უხეირობა. იაგრიც, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მე-10 სასტარტო ექვსეულია, განსაკუთრებით არ გამოირჩევა. დღეისათვის მხოლოდ 40 ქულა მოინაგრა, რაც მისთვის ძალიან დაბალი შედეგია. გარკვეული სიურპრიზია აგრეთვე ჩრდილო-ამერიკის სასტარტო ექვსეულში ვენსან ლამეუსის მოხვედრაც. სან ხოსეს ნიცფორვარდმა ისეთ დამსახურებულ მოთამაშეებს გაასწრო, როგორიც სტივ აიზერმანი და ჯო საკიკი არიან. მან 89 139 ხმა მიიღო. 1991 წელს დამფუძნი „ოლ სტარის" MVP აღიარეს. მაშინ მან 4 გოლი გაიტანა. გარემარბებში მისი ერთ-ერთი პარტნიორი თანაკლუბელი ოუენ ნოლანია (108 525 ხმა), რომელიც 1997 წელს „ოლ სტარის" MVP გახდა. მეორე გარემარბი კი დეტროიტელი ბრენდან შენაჰანია (165 184 ხმა), რომელმაც ჩრდილოამერიკელთა შორის ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

დაცვის ხაზს დეტროიტელი რობ ბლეიკი და სენტლუისელი კრის პრონგერი შეადგენენ (შესაბამისად 136630 და 113134 ხმა). ორივესთვის ეს ზედიზედ მეოთხე „ოლ სტარია" და მათ სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სავსებით დაიმსახურეს სასტარტო პოზიცია.

კარში კი სადღეისოდ ალბათ ყველაზე მეტი ტიტულისა და რეკორდის მფლობელი, კოლორადოელი პატრიკ რუა დადგება. ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტჯერ მომგები და თასის სამგზის MVP რუასთვის (115 545 ხმა) ეს მე-10 „ოლ სტარია".

მსოფლიოსა და ჩრდილო-ამერიკის ნაკრებებს კონფერენციების ლიდერების, დეტროიტისა და ტორონტოს თავკაცები — სკოტი ბოუმენი და პეტ ქუინი გაუძღვებიან. სწორედ მათ დაასახელეს „ოლ სტარის" დანარჩენი მონაწილეების სია, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა და ხვალინდელ „სარბიელში" შემოგთავაზებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიტე კალანდაძემ ჰოლანდიელები 12-ჯერ გაამწარა



ალეკო ბოყოჩაძეს მარცხენაც ემარჯვება

# არ დაცხრე ცხრამდე!

## ავსტრიამ საქართველოსთვისაც გაიტანა

**გათამაშების** შემდგომ ეტაპზე ყოველი შესარჩევი ჯგუფიდან (ასეთი კი ხუთია) მხოლოდ თითო საუკეთესო გადის. მესამე ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასპარეზობს, ისეთი სატურნირო ვითარება შეიქმნა, რომ პირველი ადგილის დასაკავებლად 12 შესაძლებლიდან ცხრა ქულის მოგროვებაც იკმარებს. რაკი ჩვენმა ხელბურთელებმა ფინელებთან ორ მატჩში უკვე ამოწურეს დასაშვები დასაკარგის სამქულიანი ლიმიტი, რომ იტყვიან, უკან დასახევი გზა მოჭრ... აქვთ და დარჩენილ თამაშებში მხოლოდ მაქსიმალური შედეგისთვის უნდა იბრძოლონ, ანუ ერთი ფრის უფლებაც აღარ აქვთ.

გუშინ, ჰოლანდიელებთან შეხვედრაში, საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთ, მობილიზებულად გამოიყურებოდა, ვიდრე ფინელებთან უსახურად დასრულებულ წინა მატჩში, თუმცა ჩვენების თამაშს ამჯერადაც არაერთი ხარვეზი ახლდა. მეტოქე რეიტინგით ჯგუფში ყველაზე სუსტი კია, მაგრამ არც იმდენად, რომ ნახევარი ძალით მოერიო. ცხადია, ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ მასპინძელთა ძალა მნიშვნელოვ... შესუსტდა სამი წამყვანი ლეგიონერის როლანდ ერაძის, სერგო დათუკაშვილისა და გარი თურქიას სუბიექტურ-ობიექტურ მიზეზებით თბილისში ჩამოუსვლელობის გამო.

მატჩის წინ ჩვენთვის სასიამოვნო ცნობა მოვიდა ავსტრიის ქალაქ ლუსტენაუდან, სადაც მასპინძლებმა ქართველთა გამამწარებელი ფინელები დაამარცხეს. პირიქით რომ მომხდარიყო, ზაზა დოლიძის ბიჭებისთვის პრაქტიკულად ყოველგვარი იმედი გადაწურული იქნებოდა.

ანგარიში ჰოლანდიელებმა გახსნეს. ალეკო ბოყოჩაძემ ერთ წუთში საპასუხო გაიტანა. იქვე ტიტე კალანდაძემ დააწინაურა თავისიანები, მაგრამ სტუმართაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ ჰაროლდ ნუსერმა მალევე აღადგინა თანაფარდობა — 2:2. ასე ქულა-ქულაში გაგრძელდა თამაში ტაიმის ბოლომდე. ანგარიში რვაჯერ იყო საყაიმო.

მასპინძლები ძირითადად ცენტრალური ზონიდან ცდილობდნენ მეტოქე დაცვის გარღვევას და თითქმის არ იყენებდნენ ფლანგებიდან შეტევებს, შეჯგუფებულ, ე...თფეროვან თამაშში კი მოკლე გადაცემებისას ხშირად მარტივ შეცდომებს უშვებდნენ, რის გამოც შედეგიანობა არც ისე მაღალი იყო. ჰოლანდიელთა შეტევები უფრო მრავალფეროვანი და მახვილგონივრული ჩანდა. კალანდაძემ რამდენიმე უშედეგო ტყორცნის შემდეგ ოდნავ უკან დაიხია და ჩვეულ მაღალ ნახტომში ცხრამეტრიანი საჯარიმოს ხაზიდან დაიწყო სტუმართა კარის დაბომბვა, რამაც მაშინვე სასურველი შედეგი მოიტანა. ჰოლანდიელი მცველები ტიტეს გაუვნებლებას ვერ ასწრებდნენ და ანგარიშიც ჩვენს სასარგებლოდ იზრდებოდა.

პირველი ნახევრის მიწურულს ქართველთა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით სხვაობა სამიოდ წუთში ერთიდან ოთხ ბურთამდე გაიზარდა — ჯერ ზაზა ფერაძემ ტექნიკურად უნაკლო სლალომით გაჭრა სტუმართა დაცვის ხაზი, მერე ბოყოჩაძე გაექცა ორ მეურვეს, ბოლო წუთზე კი შოთა თევზაძემ მეტოქეთაგან ყველაზე აქტიურ რობინ გიელენის ტყორცნა მოიგერია, ბურთი ლევან გელაშვილს გადასცა და კაპიტანმაც თავისიანები შესვენებაზე გულდამშვიდებული გაუშვა — 14:10.

მატჩის განახლებისთანავე კალანდაძის მორიგი ორი ნასროლი მიზანს მოხვდა და სხვაობამ ექვს ბურთს მიაღწია — 16:10. ჩვენების სასარგებლოდ ხუთ-ექვს ბურთიანი განსხვავება წინა ორ მატჩშიც იყო, თუმცა გამარჯვებამდე საქმის მიყვანა ვერ მოახერხეს. მართალია, საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე ჰოლანდიელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს — 20:21, მაგრამ მასპინძლებს მატჩის სადავეები ამჯერად ხელიდან აღარ გაქცევიათ და პირველი გამარჯვებაც იზეიმეს.

ბოლო წუთებში ვითარება მოედანზე საკმაოდ დაიძაბა. სტუმრებმა აგრესიულად შემოგვიტიეს და თევზაძეს ზედიზედ სამჯერ პირისპირ გასულ მეტოქეთა იერიში რომ არ მოეგერიებინა, ძნელი სათქმელია, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა. ზედმეტად ემოციურმა მაყურებლებმა სარბიელზე ორი სანთებელა ისროლეს. ცოტაც და მიზეზიანი ჰოლანდიელები ალბათ მატჩის გაგრძელებაზე უარს იტყოდნენ. მაშინ ჩვენებს, ცხადია, წაგება ჩაეთვლებოდათ და თბილისში თამაშიც კარგა ხნით აეკრძალებოდათ, მაგრამ, საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდა.

19 წლის შოთა თევზაძე, რომელიც იუგოსლავიის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის „მეტალოპლასტიკის" ღირსებას იცავს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და საგანგებო პრიზითაც დააჯილდოვეს. ხოლო ყველაზე შედეგიანი იყო პორტუგალიის „...ანოვა დე გაიას" ფორვარდი ტიტე კალანდაძე, რომელმაც 12 გოლი მიითვალა.

დღეს ქართველი და ჰოლანდიელი ხელბურთელები ამსტერდამში გაფრინდნენ. კვირას, 20 იანვარს საპასუხო მატჩია.

**გია ახალაძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**




ჰოლანდიელებმა თბილისში დაიჩოქეს, ახლა იქაც ვნახოთ...



ზაზა დოლიძე თამაშის შემდეგ ჟურნალისტების ალყაში მოექცა

**III ტური**

**ავსტრია 30:20 (16:9) ფინეთი**

**საქართველო 26:24 (14:10) ჰოლანდია**

17 იანვარი. თბილისი

სპორტის სასახლე

5000 მაყურებელი

**მსაჯები:** ალინ კარლიგეანუ და გეორგ ბეინარიუ (რუმინეთი)

**საქართველო:** თევზაძე, კალანდაძე (12 გოლი), გელაშვილი (6), ბოყოჩაძე (4), ფერაძე (3), ორჯონიკიძე (1), ქობულაშვილი (1), ყიფიანი, გვაზავა, ქარცივაძე, ქანტურია, სიხარულიძე.

**ჰოლანდია:** ბესინეეიჩი, გიელენი (6), ოლპენი (4), ნუსერი (3), ოვერკლეფტი (3), ნიიდამი (3), შმეცი (2), კლემანი (2), კერსტენი (1), რინკი (1), ბეერსი, ბაკერი.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 80:66 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 69:70 | 3 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 66:73 | 3 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 70:76 | 1 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ძეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი მამუკა გუბელაძე, ხვედა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჟუჟუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge